შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: სამართლიანობის აღდგენის პრობლემა - თანამედროვე საქართველოს გამოწვევა

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ნინო მაჩხანელი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი გივი ლობჟანიძე

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია----------3

Annotation----------4

შესავალი----------5

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა----------7

1.1. სამართლიანობის აღდგენის პრინციპი სისხლის სამართალში და მისი ნიშნები----------12

1.2. სამართლიანობის აღდგენა სასჯელის დანიშვნისას----------18

თავი II. სამართლიანობის აღდგენის თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში---------- 28

თავი III. კვლევის შედეგები----------36

დასკვნა----------55

გამოყენებული ლიტერატურა---------- 57

ანოტაცია

დღეს ბევრია დაუმუშავებელი და პასუხგაუცემელი კითხვა სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. ჩემს სამაგისტრო ნაშრომში, შევეცდები, გამოვყო არსებითი მომენტები. კვლევის პროცესის ეფექტურობისთვის, განვსაზღვრავ მასში მიზანს, ამოცანებს/შედეგებს, საგანს, ობიექტსა და კვლევის მეთოდებს.

ნაშრომის **მიზანია** სამართლიანობის აღდგენის არსისა და მნიშვნელობის განსაზღვრა და ამ მხრივ, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკა. მოცემული მიზნის მისაღწევად ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

1. სამართლიანობის აღდგენის არსის შესწავლა და მისი ნიშნების გამოყოფა;
2. "სამართლიანობის აღდგენის " რეალიზაცია სასჯელის დანიშვნისას;
3. თანამედროვე საქართველოში სამართლიანობის აღდგენის სპეციფიკა.

Annotation

There are many unanswered questions about the restoration of justice today. In my master's thesis, I will try to highlight essential moments. For job effectiveness, I define the purpose, objectives / results, subject, object and research methods.

The purpose of this study is to determine the essence and importance of restoration of justice and, in this regard, the policy of modern Georgia. To accomplish this goal, the following tasks are set out in the paper:

1. To study the essence of restoration of justice and to distinguish its signs;
2. Implementation of "restoration of justice" in sentencing;
3. The specifics of restoring justice in modern Georgia.

შესავალი

თემის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს. თუ დღეს შევხედავთ მსოფლიოს, ადვილად შევამჩნევთ იმ უარყოფით ნეგატიურ სოციალურ მოვლენებს, რომლებიც, მეტ-ნაკლებად, თავისი არსებობით გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა განვითარებასა და სოციუმზე მთლიანად. ერთ-ერთ ყველაზე ნეგატიურ სოციალურ მოვლენას განეკუთვნება დანაშაულობა.

უძველესი დროიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე, აღნიშნული მოვლენა არ კარგავს თავის საზოგადოებრივ აქტუალობას, ამიტომაც სახელმწიფო მიისწრაფის, აქტიურად იმოქმედოს დანაშაულის საბოლოოდ ლიკვიდაციისთვის, ამასთან, შექმნას ახალი საკანონმდებლო ნორმები და სრულად შეცვალოს ძველი კანონმდებლობა.

დანაშაულთან ბრძოლისთვის სახელმწიფო მიმართავს სხვადასხვა ზომას, ასევე, ყველა აუცილებელ და შედარებით ეფექტურ საშუალებას. მათ შორის უმნიშვნელოვანესია დასჯადობა. **სასჯელი** არის სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც ინიშნება სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით. იმისთვის, რომ აღნიშნული საშუალება იყოს მაქსიმალურად ეფექტური, უნდა ემსახურებოდეს უმნიშვნელოვანეს მიზნებს.

1999 წლის 22 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიღებით, რომელიც ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან, შეიცვალა სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნები. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი შეიცავს სისხლისსამართლებრივი სასჯელის შემდეგ მიზნებს:

1. სამართლიანობის აღდგენა;
2. მსჯავრდებულის გამოსწორება;
3. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული მიზნებიდან ყველა მნიშვნელოვანია, მაგრამ უმთავრესია სამართლიანობის აღდგენა.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მოცემული მიზანი თეორიულად არაა საფუძვლიანად შესწავლილი, კერძოდ, მეცნიერებაში არაა კონკრეტულად განსაზღვრული სამართლიანობის აღდგენის არსი, მისი მიღწევის კრიტერიუმების მნიშვნელობა, ამ მიზნის ღირებულება. აგრეთვე, არაა დახურული საკითხი სამართლიანობის აღდგენის ადგილთან დაკავშირებით სასჯელის მიზანთა სისტემაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის **მიზანია** სამართლიანობის აღდგენის არსისა და მნიშვნელობის განსაზღვრა. მიზნის მისაღწევად განსაზღვრული და გადაწყვეტილია შემდეგი **ამოცანები:**

1. განსაზღვრულია სამართლიანობის აღდგენის, როგორც სისხლის სამართლის სასჯელის მიზნის, არსი
2. განსაზღვრულია სისხლის სამართლის სასჯელის არსი, გამოვლენილია მისი ნიშნები
3. გამოვლენილია სისხლის სამართლის სასჯელის მიზანთა სისტემაში სამართლიანობის აღდგენის ადგილი
4. ჩამოყალიბებულია სამართლიანი სისხლის სამართლის სასჯელის კრიტერიუმები
5. გამოვლენილია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის აუცილებლობა, რაც გულისხმობს სისხლის სამართლის სასჯელის სისტემის რეგულირებასა და პრაქტიკაში მის გამოყენებას.

კვლევის **ობიექტია** სამართლიანობის აღდგენის ინსტიტუტი, როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზანი, ხოლო **საგანია** - სამართლიანობის აღდგენის პროცესები, რომლებშივ ვლინდება სამართლიანობისა და სასჯელის არსი, კავშირი მათ შორის, სამართლიანობის აღდგენის ურთიერთმიმართება სისხლისსამართლებრივი სასჯელის სხვა მიზნებთან. ნაშრომში გამოიყენება კვლევის კერძოსამეცნიერო **მეთოდები:** ფორმალურ-ლოგიკური, სამართლებრივი, სტატისტიკური. კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს მიერ გავრცელებული საჯარო ინფორმაცია 2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე საჯარო მოხელეების (რომელთაც დანაშაული 2004-2012 წლებში ჩაიდინეს) მიმართ გამოტანილი განაჩენებისა და ამ პერიოდში დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის ფაქტებზე.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამართლიანობის აღდგენა, მისი არსის განსაზღვრა წარმოშობს რიგ საკითხებს, რომლებზეც პასუხის გაუცემლად შეუძლებელია იმ ნიშნების გარკვევა, რომლებიც მას განაპირობებს. ასევე, მის მნიშვნელობას მთლიანად სისხლისსამართლებრივი სასჯელის სისტემისთვის.

ზემოაღნიშნული კითხვებიდან უმთავრესია იმის გარკვევა, რა არის სამართლიანობა, მისი არსი და მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნებისას, მეორე - "აღდგენა", როგორც განხილვადი მიზნის ერთ-ერთი შემადგენელი ტერმინი, მესამე - რას წარმოადგენს სამართლიანობის აღდგენა და მისი შინაარსი. "სამართლიანობის აღდგენის" ტერმინში უმთავრესია სამართლიანობის კატეგორია, ამიტომ მისი საფუძვლის შესწავლა გადამწყვეტია მთელი საკვლევი თემისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში მუშავდებოდა სამართლიანობის კონცეფცია და სისხლის სამართლის მეცნიერება ყოველთვის დიდი ტემპებით ვითარდებოდა, სიტუაცია, დღემდე, განუსაზღვრელია მოცემული კატეგორიის არსისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით.

სამართლიანობის არსს, ადგილსა და როლს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობების სისტემაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივუდგეთ თეორიული კუთხით. ნ.ნ. ალექსეევმა[1] - თავის ნაშრომში, "სამართლის ფილოსოფიის საფუძვლები", აღნიშნა, რომ სამართლიანობის სიღრმისეულ საფუძვლიან იდეას განეკუთვნება იერარქიულ წესრიგზე აზრები, რომლებშიც გვერდიგვერდ დგანან ღირებულებები: მათ ღირსებებზე, მათი სრულყოფის მომაკვდინებელ და ზრდად ხარისხზე შეხედულებები. სწორედ ამ ხარისხთა სწორი ურთიერთმიმართებაა სამართლიანი ურთიერთობა. ალექსეევის აზრით, სამართლიანობა არის ღირებულებებისა და ფასეულობების ჭეშმარიტი ზომა. მას, ასევე, მოჰყავს სხვა თეორეტიკოსების მსჯელობები ამ სფეროში. ალექსეევი აღნიშნავს, რომ ფასეულობები დაფუძნებულია ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. ისინი გამოხატავენ არა მხოლოდ იდეებს, ინდივიდუალურ ფსიქიკურ ურთიერთობას ანუ რეალობას. სამართლიანობის სივრცეში ჩართულია არა მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილება, არამედ გრძნობებიც.

ფსიქიკური ურთიერთობა სამართლიანობასთან განუცალკევებელია. სამართლიანობა თავადაა ფასეულობა, რომელიც ეფუძნება გრძნობებს. თუ არაა გრძნობა, რჩება მხოლოდ ლოგიკა, რომელიც არ ასხვავებს ცუდს კარგისგან. სამართლიანობა მოიცავს გამოვლენილ ფასეულობებს და გამოხატავს მათ ურთიერთმიმართებას. სამართლიანობას აქვს იდეალური

[1] Н. Н. Алексеев, Основы философии права, СПб., 1999, გვ. 216

ბუნება. იდეალების ცხოვრებაში რეალიზება განმტკიცებულია ობიექტური ფაქტორებით და ატარებს ისტორიულ ხასიათს, ამიტომ შეუძლებელია სამართლიანობის ზოგადი ფორმულის ჩამოყალიბება, რომელიც მიესადაგებოდა ყველა დროსა და ერს. სამართლიანობის ფორმულები შეიძლება იყოს მხოლოდ ნიმუშები და კონკრეტული გადაწყვეტილებებით დადგენილი წესები. ალექსეევი გამოყოფს რიგ თავისებურებებს, რომლებიც განასხვავებს სამართლიანობას სხვა მორალური ფასეულობებისგან:

1. იერარქიის არსებობა
2. იმ ურთიერთობების იდეა, რომელიც დამახასიათებელია სამართლიანობისთვის
3. მისი ზეპიროვნული ხასიათი, პიროვნულ ხასიათთან ერთად
4. იგი დაკავშირებულია ყველა მორალურ ფასეულობასთან, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება გამოიხატოს სხვა ფასეულობებისა და ღირებულებების არსი ეგოიზმის, თავისუფლების, თანასწორობისა და ინტერესისგან განსხვავებით.

ალექსეევის მიერ შემოთავაზებულ თეორიას ეთანხმება ს.ბ. კარამაშევი და აღნიშნავს, რომ ალექსეევის მიერ წამოყენებული თეორია არის სამართლიანობის კატეგორიის საფუძველთა საფუძველი. თუმცა, ეს არ გვაძლევს მიზეზს უარვყოთ სხვა ფილოსოფოსების მიერ შემუშავებული თეორიული მიდგომები.[2]

პლატონის, არისტოტელეს, ე.დ. ფროლოვი - ს შეხედულებითა და სამართლიანობის ლექსიკური მნიშვნელობის ისტორიული ანალიზის შედეგად შეიძლება იმის დასკვნა, რომ სამართლიანობასთან კავშირი აქვს იმას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანთა საზოგადოებაში. ამ უკანასკნელის შეფასებისას ვადგენთ, რომ მისი თავისებურება ინდივიდუალური საწყისის როლის ზრდაა. მეცნიერი ს.ვ. სოლოვიოვი ხაზს უსვამს, რომ პირის სწრაფვა თვითდამკვიდრებისკენ და პირველყოფილი ერთობისგან განთავისუფლება ეჭვგარეშე და საზოგადო ფაქტია. ამას განაპირობებს ევოლუციის პროცესში ადამიანის აზრობრივი შესაძლებლობების ზრდა. ამასთან, ნარჩუნდება ცხოვრების საზოგადოებრივ ფორმათა აუცილებლობა. ამის ფონზე ჩნდება და მწვავდება კონფლიქტი ინდივიდუალურ საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. მოცემული დაპირისპირება ეძებს გადაჭრის გზებს და მათ პოულობს შემდეგი ფაქტორების შეთავსებით:

1. ბუნებრივი კანონზომიერებებით,
2. ზოგადმნიშვნელოვანი გარემოებების დადგენით,
3. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოთხოვნებით.

ამ მონაცემების ერთობლიობა კავშირშია სამართლის შესახებ წარმოდგენებთან და აყალიბებს სამართლიანობის კატეგორიას. ამიტომ არაა შემთხვევითი, რომ ბევრი მეცნიერი და

[2] Н. Н. Алексеев, Основы философии права, СПб., 1999, გვ. 216

ფილოსოფოსი სამართლიანობას აღიქვამს. როგორც მაინტეგრირებელ ტერმინს.[3] [4]

ზემოაღნიშნულის ანალიზით თვალნათლივ ჩანს, რომ სამართლიანობა, როგორც კატეგორია, დაკავშირებულია ადამიანთა ფსიქიკურ სფეროსთან და ბუნებრივ კანონზომიერებებთან.

განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლიანობის არსი არის მორალური ფასეულობების იერარქიულ ურთიერთმიმართებაში იმგვარად, რომ თავისუფლება, თანასწორობის პრინციპით, იყოს სიკეთის მატარებელი.

სამართლიანობის არსის განსაზღვრის შემდეგ ვიხილავთ ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა "სოციალური" ფენომენი. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურაში ამ ტერმინის ზუსტი და დადგენილი განმარტება არაა. სოციოლოგიის სფეროში მოღვაწე ბევრი ავტორის პოზიციით, სოციალური არის საზოგადოების თვისებებისა და თავისებურებების ერთობლიობა, რომელიც ინტეგრირებულია ინდივიდებისა და ინდივიდების ჯგუფთა საერთო საქმიანობაში საქმიანობის ადგილისა და დროის გათვალისწინებით, ვლინდება ერთმანეთთან ურთიერთობისას, ურთიერთდამოკიდებულებაში, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა პროცესსა და მოვლენაში.

ბევრი ზემოაღნიშნული ავტორი თვლის, რომ სიტყვათა შეთანხმებიდან "სოციალური სამართლიანობის აღდგენა", "სოციალური" ზედმეტია და ის უნდა გამოირიცხოს. ამ იდეის გამტარებლების აზრით, "სოციალური სამართლიანობა" არის სამართლიანობის დახასიათება ანუ "სოციალური სამართლიანობა", მათი შეხედულებით, ყალიბდება კონკრეტული ინდივიდისგან დამოუკიდებლად, მისგან გაუთვითცნობიერებლად და რეალობაშიც ამგვარად აისახება. უკანასკნელი არაა სამართლიანობის არსში ჩადებული, რადგანაც ფასეულობათა ურთიერთმიმართება დაფუძნებულია მათ შედარებაზე.

ამგვარად, ზედსართავი სახელი "სოციალური" "სოციალური სამართლიანობის" ტერმინში არ ატარებს აზრობრივ დატვირთვას.

ნ.ნ. ალექსეევი, ს.ბ. კარამაშევი ამბობენ, რომ "სოციალური სამართლიანობა" არის სამართლიანობა, გამოვლენილი თავად საზოგადოების მიერ თავისი ისტორიული განვითარების პროცესში, მიუხედავად კონკრეტული ადამიანის მიერ გამოხატული ნებისა.[5]

თუ დეტალურად განვიხილავთ სამართლიანობას, გაგვიჩნდება კითხვა, ნუთუ შესაძლებელია, რომ მის ფორმირებაში მონაწილეობდეს რომელიმე პიროვნება ან მისი შინაარსი დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანის ნება-სურვილზე? იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიულ კანონებს იღებს არა ერთი, არამედ რამდენიმე პირი, კანონი მაინც არაა ყოველთვის

---

[3] Аристотель, Этика, политика, риторика, поэтика, категории, 1992, გვ. 1391

[4] Платон, Законы, 1999, გვ. 882

[5] Н. Н. Алексеев, Основы философии права, СПб., 1999, გვ. 216

სამართლიანი და თავად სამართლიანობაც ამით არ იცვლება. ამის მიზეზია ის, რომ სამართლიანობა ყალიბდება საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში და დამოკიდებულია განსაზღვრული ინდივიდის ნებაზე. აქედან გამომდინარე, სამართლიანობა თავადაა სოციალური და შეუძლებელია მისი ინდივიდუალურად დადგენა.

ჩემი აზრით, სიტყვა "სოციალური" უმნიშვნელოვანესი ელემენტია სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში. "სოციალური" არსებითი აზრობრივი დატვირთვის მატარებელია. ასევე, ღირს ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ სიტყვა "სოციალურის" პარალელურადაა ისეთი სიტყვები, როგორიცაა "ინდივიდუალური", "კოლექტიური" და სხვა. ამგვარად, "სოციალური სამართლიანობა" იგივეა, რაც "ინდივიდუალური სამართლიანობა" ან "კოლექტიური სამართლიანობა". აქედან გამომდინარე, "ინდივიდუალური სამართლიანობის აღდგენა" ან "კოლექტიური სამართლიანობის აღდგენა". თუმცა, მოცემულ კონტექსტში, ვფიქრობ, სწორი ვარიანტი იქნება "სოციალური სამართლიანობა" ანუ ყველა ადამიანის, მთელი "სოციუმის" სამართლიანობა. როგორც ცნობილია, "სოციუმი" შედგება ინდივიდებისგან. ამიტომ სიტყვა "ინდივიდუალური" იქნებოდა არაკორექტული.

სისხლის სამართალში უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს "აღდგენა".

"აღდგენა" მორფოლოგიური თვალსაზრისით ნიშნავს პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნებას.

ახლა მივუდგები სამართლიანობის აღდგენის არსის განხილვას.

ჯ. ფლეტჩერი და ა.ვ. ნაუმოვი ხსნიან ზემოაღნიშნული ტერმინის შინაარსს. სოციალური სამართლიანობის აღდგენა დასჯის მიზნით ითხოვს ერთდროულად იმის აღიარებასაც, რომ მოცემული მიზანი არაფერს აღნიშნავს, გარდა შურისძიების მიზნისა. კერძოდ, დამნაშავის მიერ დარღვეული უფლებების, კანონიერი ინტერესებისა და ფასეულობების აღდგენას. ჯ. ფლეტჩერის მოსაზრებების მიხედვით, სოციალური სამართლიანობის აღდგენა არის შურისძიება, რომელშიც იგულისხმება დარღვეული უფლებებისა და ფასეულობების აღდგენა, რასაც არ ვეთანხმები. ბევრი ავტორი თვლის, რომ სასჯელის დასჯითი მნიშვნელობა იქცევა სოციალური სამართლიანობის აღდგენის თავისებურ სისხლისსამართლებრივ საშუალებად. ასეთია ფორმულირება როგორც უტილიტარული, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.[6]

მ. სტანოვსკის აზრით, სამართლიანობის აღდგენა მოიცავს დამნაშავის განსჯას, რაც, თავის მხრივ, პოზიტიურად მოქმედებს საზოგადოებრივ აზრზე, ასევე - მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. ფოინიცკიც იზიარებს კოლეგათა ნაწილის მოსაზრებას, რომ სასჯელის აღსრულება ატარებს შურისძიების ხასიათს. მოცემულის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ მასში საერთოდ არაა გათვალისწინებული დაზარალებული მხარის ინტერესები, რაც

[6] Дж. Флетчер, А. В. Наумов Основные концепции современного уголовного права, 1998, გვ. 512

უსამართლოა. დღეს სამართლიანობის, მით უმეტეს, "სოციალური სამართლიანობის აღდგენის" შინაარსი გაუმართლებლად შეზღუდულია და ამიტომ ვერ გახდება "სამართლიანობის აღდგენის" არსის საფუძველი.[7]

ს. ბორონბეკოვი ამბობს, რომ სამართლიანობის აღდგენა არის მრავალფეროვანი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ემსახურება დანაშაულისგან დაზარალებულის დაკმაყოფილებას.

"სოციალური სამართლიანობის აღდგენა" გულისხმობს დაზარალებულის მორალურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ დაკმაყოფილებას. ბორონბეკოვის განმარტებაში მთელი ყურადღება ეთმობა დაზარალებულის ინტერესებს და სამართლიანობის არსი ვიწროვდება იმ მოვლენამდე, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დაზარალებულისთვის ან/და დაზარალებულებისთვის. სტანოვსკის აზრით, "სოციალური სამართლიანობა", როგორც სამართლებრივი კატეგორია, ხასიათდება ოთხი არსებითი ასპექტით, რომელიც გამოხატავს:

1. მსჯავრდებულის ინტერესებს
2. დაზარალებულის ინტერესებს
3. საზოგადოების ინტერესებს
4. სახელმწიფოს ინტერესებს.[8]

აქედან გამომდინარე, სამართლიანობის სფეროს შეზღუდვა მხოლოდ დაზარალებულის უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაკმაყოფილებით, გაუმართლებელი და არასწორი მოსაზრებაა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი არგუმენტი.

უკვე ჩამოყალიბებული მოსაზრებების, შეხედულებების, მსჯელობისა და ანალიზის შედეგად, სოციალური სამართლიანობის აღდგენა არის სამართლებრივი მოვლენა, რომლის მეშვეობითაც რეალიზდება და აღდგება საზოგადოებაში დამკვიდრებული და პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დარღვეული ფასეულობები მის მიმართ სასჯელის დანიშვნით, რომელიც უნდა იყოს საზოგადოებრივად საშიში ქმედების ხასიათისა და ხარისხის, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების შესაბამისი. ამ უკანასკნელს შედეგად უნდა მოჰყვეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მხრიდან ზიანის ანაზღაურება და იდეალურ შემთხვევაში, საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალური ფასეულობებისადმი პატივისცემა.

---

[7] М. Н. Становский, Назначение наказания, СПб., 1999, გვ. 480

[8] С. Боронбеков, Принцип справедливости наказания и соразмерности обеспечения прав потерпевшего, Рязань, 1994, გვ. 48-50

1.1. სამართლიანობის აღდგენის პრინციპი სისხლის სამართალში და მისი ნიშნები

სისხლის სამართლის ლიტერატურაში, სამართლიანობის აღდგენის, უფრო სწორად კი სოციალური სამართლიანობის აღდგენის არსი ჩამოყალიბებული არ არის. ჩემ მიერ მიმოხილული ლიტერატურის საფუძველზე, ვეცდები განვსაზღვრო "სოციალური სამართლიანობის აღდგენის" არსი.

სოციალური სამართლიანობის აღდგენის პრინციპი სისხლის სამართალში გამოიხატება სასჯელის დანიშვნასა და სისხლისსამართლებრივი ხასიათის ზომების გამოყენებაში, რომლებიც რეალიზებული უნდა იყოს:

1. საკანონმდებლო საზღვრებში
2. შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს
3. ითვალისწინებდეს სასჯელის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს
4. ითვალისწინებდეს ბრალდებულის პიროვნებას.

აღნიშნული პრინციპი გასდევს სისხლისსამართლებრივი პრინციპების მთელ სისტემას, მუშაობს არა განცალკევებით, არამედ სხვა პრინციპებთან მჭიდრო ურთიერთქმედებით. სისხლის სამართლის სოციალური სამართლიანობის პრინციპი კონკრეტდება და რეალიზდება სასჯელის დანიშვნის პრინციპების დახმარებით.

მეცნიერთა ნაწილი გამოყოფს სისხლის სამართალში სოციალური სამართლიანობის გამოვლენის სამ დონეს:

1. სამართლიანობა დანაშაულებრივი ქმედებების წრის ფორმირებისას
2. სამართლიანობა სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნისას
3. კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს სამართლიანი სანქცია.

სავალდებულო და აუცილებელია იმის დადგენა, როგორი ურთიერთმიმართებაა სისხლის სამართლის პრინციპებსა და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრინციპებს შორის. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საერთო შეხედულება არ არსებობს. არის მეცნიერთა მოსაზრებების დიაპაზონი.

ერთნი აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის პრინციპები და

სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრინციპები ერთმანეთთან ძალიან ახლოა, მათ შორის განსხვავებებიცაა. ამ შეხედულების მომხრეები თვლიან, რომ სისხლის სამართლის პრინციპები უპირატესია. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრინციპებს კი უკავიათ
მეორეხარისხოვანი როლი. აღნიშნული გულისხმობს, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრინციპებმა უფრო ზუსტად და სრულად უნდა ასახონ სისხლის სამართლის პრინციპების არსი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით, სისხლის სამართლის პრინციპები განისაზღვრება სისხლის სამართლის პოლიტიკით ანუ თუ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრინციპები მაგრდება სისხლის სამართლის ნორმებში, ისინი იქცევა სისხლის სამართლის პრინციპებად. ამ იდეის მატარებლების აზრით, სამართალი და პოლიტიკა ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია და იმის გარკვევა, რომელია პირველადი მნიშვნელობის და რომელი მეორეხარისხოვანი-არაკორექტულია.

ამგვარად, თუ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრინციპები დამაგრებულია კანონმდებლობაში, ისინი იქცევა სისხლის სამართლის პრინციპებად. თუ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრინციპები საკანონმდებლო დონეზე არაა გამყარებული, ისინი გავლენას ახდენს სისხლისსამართლებრივი ნორმების შინაარსზე.

კრიმინალიზაციის პრინციპი არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის წესებისა და კრიტერიუმების სისტემა, რაც მჭიდროდ აკავშირებს მას სამართლიანობის აღდგენის პრინციპთან.

კრიმინალიზაციის უმნიშვნელოვანეს და ყველას მიერ აღიარებულ კრიტერიუმს წარმოადგენს ადამიანის ქმედების, როგორც საზოგადოებრივად საშიში ქმედების, შეფასება. სისხლის სამართლის ნორმების მეშვეობით დაცულია უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ურთიერთობები:

1. ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები
2. საკუთრება
3. საზოგადოებრივი წესრიგი
4. გარემო
5. კონსტიტუციური წყობა.

სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობები დაცულია სამართლის შემდეგი დარგების მიერ:

1. ადმინისტრაციული სამართალი
2. სამოქალაქო სამართალი

3. შრომის სამართალი
4. საოჯახო სამართალი

და სხვა.

საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად გამოიყენება დამნაშავის პიროვნების დახასიათება. კერძოდ:

1. ასაკი
2. თანამდებობრივი პოზიცია.

ვფიქრობ, სამართლიანობის თვალსაზრისით აღნიშნული არგუმენტირებულია. პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მიეს მიერვე ჩადენილ მართლსაწინაარმდეგო ქმედებასთან, გავლენას ახდენს საზოგადოებრივად საშიში ქმედების შეფასებაზე.

კანონის შეუსაბამობა სამართლიანობის პრინციპთან იწვევს მოქალაქეთა მხრიდან სამართლებრივი აკრძალვების დაუცველობას, სამართალდამცავი ორგანოები არ იყენებენ მას. შედეგად, სამართლის ნორმა არ მოქმედებს.

სისხლის სამართლის კანონის სამართლიანობისთვის ის უნდა პასუხობდეს:

1. კრიმინოლოგიურ მოთხოვნებს
2. სოციალურ მოთხოვნებს
3. ეთიკურ მოთხოვნებს.

სისხლის სამართალში სამართლიანობის გამოვლენის შემდეგი ეტაპია სამართლიანი სასჯელის დანიშვნა ანუ ის უნდა შეესაბამებოდეს:

1. დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს
2. დანაშაულის ჩადენის გარემოებებს
3. ბრალდებულის პიროვნებას.

სისხლის სამართალში სამართლიანობის გამოვლენის შემდეგი ეტაპია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისთვის სამართლიანი სანქციის დაწესება. სანქცია, ისევე, როგორც სისხლის სამართალი ზოგადად, ხასიათდება ობიექტურობის ნიშნებით, ე.ი. სანქცია დამოკიდებულია ჩვენ გარშემო არსებულ რეალობაზე და ირეკლავს მას. რაც უფრო ახლოა სანქცია რეალობასთან, მით ეფექტურად გამოიყენება იგი. სწორედ აქედან გამომდინარეობს სამართლიანობის აღდგენის სოციალური ხასიათი.

სანქციის მიმართ ყველაზე დიდი მოთხოვნაა მისი შესაბამისობა საზოგადოებრივი

ურთიერთობების ხასიათთან. ეს უკანასკნელი კი დაცულია სისხლისსამართლებრივი ნორმით.

სოციალური სამართლიანობის აღდგენის პრინციპი კონკრეტულ შემთხვევაში გამოიხატება იმაში, რომ სანქციის სიმძიმე, მასში ასახული სასჯელის სახე და ზომა შეესაბამებოდეს დანაშაულის სახის საშიშროების ხარისხს.

როგორც თავის დასაწყისში აღვნიშნე, სისხლის სამართლის კანონის ტექსტში სოციალური სამართლიანობის აღდგენის პრინციპი სრულად არ არის გახსნილი. ამიტომ ღარიბდება მისი შინაარსი. იმას თუ მივიღებთ მხედველობაში, როგორაა სამართლიანობის აღდგენის პრინციპი გახსნილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, მივხვდებით, რომ ის მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის უფლებების დაცვისკენ. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კოდექსის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვა, ე.ი. უპირველეს ყოვლისა, კანონმორჩილი მოქალაქის, დაზარალებულის დაცვა დამნაშავისგან.

მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ თუ სამართლიანობის აღდგენა სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზანია, მაშინ თავად სამართლიანობის აღდგენის პრინციპი გაგებული უნდა იყოს ფართოდ, მოიცვას არა მხოლოდ დამნაშავის უფლებების დაცვა, არამედ დაზარალებულის უფლებების აღდგენაც.

მეცნიერთა ნაწილი, მათ შორის, სტანოვსკი მ. ნ. თვლის, რომ სოციალური სამართლიანობის აღდგენა და სამართლიანობის პრინციპი შეუსაბამო კატეგორიებია. სამართლიანობის აღდგენა არის საბოლოო მიზანი, შედეგი, რომლისკენაც მიისწრაფვის კანონმდებელი, ხოლო სამართლიანობის პრინციპი არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა მიზანი. სტანოვსკის აზრით, სოციალური სამართლიანობა, როგორც სისხლისსამართლებრივი კატეგორია ხასიათდება ოთხი ასპექტით და ეხება:

1. სახელმწიფოს ინტერესებს
2. საზოგადოების ინტერესებს
3. ბრალდებულის ინტერესებს
4. დაზარალებულის ინტერესებს.[9]

სოციალური სამართლიანობის მეორე ასპექტია საზოგადოების ინტერესები. მოქალაქე უნდა იყოს დარწმუნებული, რომ სახელმწიფოს შესწევს უნარი დაიცვას იგი.

---

[9] М.Н. Становский Назначение наказания. СПб., 1999, გვ. 480.

ამგვარად, სოციალური **სამართლიანობის აღდგენა** არის სამართლებრივი მოვლენა, რომლის შედეგადაც გადაფასდება დამნაშავეთა მიერ საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები, მათ მიმართ სასჯელის დანიშვნით, რომელიც, თავის მხრივ, შეესაბამება:

1. საზოგადოებრივად საშიში დანაშაულის ხასიათსა და ხარისხს
2. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გარემოებებს
3. ბრალდებულის პიროვნებას.

აღნიშნულს უნდა მოჰყვეს მიყენებული ზარალის ანაზღაურება და ბრალდებულში ფუძემდებლური მორალური ღირებულებების ფორმირება.

"სოციალური სამართლიანობის აღდგენის" ზემოაღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ ნიშნები.

1- ლი ნიშანი დაკავშირებულია "არსის" კატეგორიასთან. არსი გულისხმობს თავის გამოვლენას. იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაული ვლინდება სოციალურად მნიშვნელოვან მოვლენებში, სამართლიანობის აღდგენაც უნდა გამოვლინდეს რეალურად ღირებულ სფეროებში ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

II ნიშანი- სამართლიანობის არსი დაფუძნებულია მორალურ ფასეულობებზე. ე.ი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდგომარეობა უნდა ატარებდეს მორალურად გამართლებულ ხასიათს. სწორედ ამიტომაა, რომ ჩადენილ დანაშაულზე რეაქციის ხასიათის ანალიზისას საუბარია არა მხოლოდ იმაზე, რა მოხდა, არამედ - რა შეიძლება მომხდარიყო.

III ნიშანი მდგომარეობს იმაში, რომ სამართლიანობის აღდგენაში, როგორც მოვლენაში, უნდა შედიოდეს მხოლოდ ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც:

1. წარმოიშვა დანაშაულის ჩადენის შედეგად
2. უშუალოდაა დაკავშირებული დანაშაულთან.

ამგვარად, სავალდებულოა შეფასების საგნის, საზოგადოებრივი ურთიერთობების, ხასიათის კონკრეტიზირება. სწორედ საზოგადოებრივი ურთიერთობები განასახიერებს სამართლიანობას. დანაშაულში ერთიანდება ორი მოვლენა:

1. ფსიქიკური
2. ფიზიკური.

შესაბამისად, დანაშაულზე რეაქციაც ორი მიმართულებისაა:

1. ფსიქიკური

2. მატერიალური.

ფსიქიკური რეაქცია ვლინდება სასჯელში, ხოლო მატერიალური რეაქცია-იმაზე ზემოქმედებაში, რაშიც, პრაქტიკულად, ის გამოვლინდა. ამ ორმა მიმართულებამ უნდა დააზუსტოს არსი, კერძოდ, სამართლიანია თუ არა სასჯელი და სამართლიანად ანაზღაურდა თუ არა მიყენებული ზიანი.

სოციალური სამართლიანობის აღდგენის შემდეგი ნიშანია მსჯავრდებულის პიროვნებაში სხვების მიმართ პატივსაცემი ურთიერთობის ფორმირება.

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ვინ იგულისხმება "სხვებში", რადგან ეს უკანასკნელი განუსაზღვრელია. მათში შეიძლება მოიაზრებოდნენ:

1. მაღალი მორალური თვისებების მქონე პიროვნებები
2. დამნაშავეები.

ამიტომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ის ფასეულობები, რომლებიც მყარადაა დამკვიდრებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ანგარიშგასაწევია ის, რომ ფასეულობები ფორმირდება საზოგადოებისა და ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ კანონმორჩილება არაა დაკავშირებულია მაღალზნეობრიობასთან ანუ კანონმორჩილებისთვის არაა სავალდებულო, რომ პირი იყოს მაღალზნეობრივი. ამიტომ სოციალური სამართლიანობის აღდგენის მომდევნო ნიშნად ითვლება პატივსაცემი ურთიერთობა, მორალური ღირებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ განვითარების შესაძლებლობასა და არსებობა-თანაარსებობას.[10]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, სისხლის სამართლის მეცნიერებაში, "სოციალური სამართლიანობის აღდგენა" სუსტადაა გააზრებული და შესწავლილი. ამაზე მეტყველებს "სამართლიანობის აღდგენის" ერთიანი განსაზღვრებისა და ერთმნიშვნელობანი წარმოდგენის არარსებობა, რა არის მიზნის არსი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „სოციალური სამართლიანობის აღდგენას“ ან უბრალოდ, „სამართლიანობის აღდგენას“.

რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენის ნიშნებს, აქ გასათვალისწინებელია ის კონტექსტი, რომელშიც ის ვლინდება. ე. ი. ნიშნების ჩამონათვლის ცვლილება დამოკიდებულია სამართლიანობის აღდგენის არსის შინაარსთან.

[10] М. Н. Становский, Назначение наказания, СПб., 1999, გვ. 480

1.2. სამართლიანობის აღდგენა სასჯელის დანიშვნისას

სასჯელის ლოგიკური განსაზღვრება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: **სასჯელი** არის სახელმწიფო იძულების ზომა, რომელიც ინიშნება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. სასჯელი გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელიც დამნაშავედაა ცნობილი ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის და მოქმედი კოდექსით მის მიმართ გამოიყენება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვისა ან აღკვეთის ადეკვატური ზომა.

ქართულ ლიტერატურაში არაა ერთიანი თეორიული მიდგომა სასჯელის არსთან დაკავშირებით. ერთნი მას განიხილავენ კატეგორიის მოცულობაში, მეორენი - მის შინაარსს შედარებით ვიწრო დეფინიციაში.

განვიხილავთ სისხლისსამართლებრივი სასჯელის არსის რამდენიმე განსაზღვრებას. ვეცდებით, ვიპოვოთ, გამოვყოთ მისი საერთო, მსგავსი და შესაბამისი ელემენტები.

ი. ფოინიცკი წერდა, რომ სასჯელი არის იძულება, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩამდენის მიმართ. სასჯელის ზომა გამოიხატება რაღაცის აღკვეთასა ან პირისათვის არასასურველ ღონისძიებაში. ამიტომ ყველანაირი სასჯელი მიმართულია იმ სიკეთის წინააღმდეგ, რომელიც ეკუთვნის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენს. ეს შეიძლება იყოს მისი:

1. ქონება,
2. თავისუფლება,
3. ღირსება,
4. ფიზიკური ხელშეუხებლობა,
5. ზოგჯერ კი- მისი სიცოცხლეც.[11]

ს.ბ. კარამაშევი. კი აღნიშნავდა, რომ სასჯელი არის განსაკუთრებული ურთიერთობის ფორმა, რომელიც ყალიბდება ქმედების ჩამდენსა და სახელმწიფოს შორის. დამნაშავის შეხედულებით, სასჯელი არის მის მიერ ჩადენილის შედეგი, სახელმწიფოს აზრით - ზომა, რომელიც გამოიყენება პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. სასჯელი ადამიანური ცხოვრების ზოგადი პირობების თვალსაზრისით, ტანჯვაა.[12]

---

[11] И. Фойницкий, Учение о наказании в связи с тюрьмоведением, М., 2000, გვ. 9

[12] С. Б. Карамашев, Восстановление справедливости, как цель уголовного наказания, Омск, 2004, გვ. 200

სასჯელის შინაარსი მდგომარეობს კანონით დადგენილ სამართლებრივ შეზღუდვებში, რაც ვლინდება სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში და მისი მიზანია მსჯავრდებულზე ფსიქოლოგიური და სხვა გამაფრთხილებელი ზემოქმედება. ამას შედეგად უნდა მოჰყვეს მის აზროვნებაში დადებითი ცვლილებები. საბოლოო მიზანი კი პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩაუდენლობაა.

სხვადასხვა მეცნიერი იძლევა სისხლისსამართლებრივი სასჯელის განსხვავებულ განმარტებას, ვიდრე ჩემ მიერ იყო მოყვანილი.

რ. ნ. ხამიტოვი აღნიშნავს, რომ ზოგადად, სასჯელის მიზანია ის სოციალური შედეგი, რომლისკენაც მიისწრაფვის სახელმწიფო, როდესაც იყენებს სისხლისსამართლებრივ სასჯელ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ.[13]

შარგოროდსკი თავის ნაშრომში "სასჯელის არსი და მიზნები" ამბობს: სასჯელის მიზანი, ფართო გაგებით, არის საზოგადოებრივად საშიში ქმედების განხორციელების გაფრთხილება. ამ მიზნით ხელმძღვანელობს კანონმდებელი, როცა ადგენს რომელი ქმედება როგორ დაისაჯოს. ამავე მიზნით ხელმძღვანელობს მოსამართლე, როდესაც განსაზღვრავს სასჯელის კონკრეტულ ზომას. ამ მიზნით ხელმძღვანელობენ, ასევე, სამართალდამცავი ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასჯელის აღსრულებას.[14]

ცნობილი მოაზროვნე, ჩეზარე ბეკარია, ხაზს უსვამს, რომ სასჯელის მიზანია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიერ საზოგადოებისთვის ახალი ზიანის მიყენებისთვის ხელის შეშლა და სხვათა შეკავება დანაშაულის ჩადენისგან.[15]

ცნობილი ფილოსოფოსის, ა.ნ. რადიშევის აზრით, სასჯელის მიზანია დამნაშავი გამოსწორება.

ფილოსოფოსების, მოაზროვნეების, მეცნიერების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ მათ აზრებსა და შეხედულებებში ასახულია სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნებისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნის ერთიანი არსი ლიტერატურაში არ არსებობს. მოცემული კატეგორია დღეს გამოიყენება გამოთქმის მსგავსად: "რამდენი მეცნიერიცაა, იმდენი აზრია".

შესწავლილი მასალისა და განხილული ასპექტების შედეგად, ჩემი აზრით,

---

[13] Р. Н. Хамитов, Специальные правила назначения наказания, М., 1997, გვ. 208
[14] М. Шаргородский, Наказание, его цели и эффективность, М., 1973, გვ. 115
[15] Ч. Беккариа, О преступлениях и наказаниях, М., 1764, გვ. 303

სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნის არსი შეიძლება ჩამოყალიბდეს.

სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზანი არის სოციალური შედეგი, რომლისკენაც მიისწრაფვის სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენთა მიმართ სასჯელის დანიშვნისას. სასჯელის მიზანია, ასევე, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მსჯავრდებულის გამოსწორება, რათა მან აღარ დააზიანოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები მთლიანად. სასჯელის გამოყენების პროცესი შედგება ორი ეტაპისგან:

1. სასჯელის დანიშვნა
2. სასჯელის აღსრულება.

აქედან გამომდინარე, სასჯელის მიზანი მხედველობაში მიიღება, როგორც წესი, სასჯელის დანიშვნისა და მისი რეალიზაციისას ანუ აღსრულებისას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასჯელის მიზნებს მისი დანიშვნის ეტაპზე. ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ სასამართლოს მიერ განაჩენით განსაზღვრული სასჯელის საფუძველია, ერთი მხრივ, რეტროსპექტული ქცევა ანუ დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ჩადენილია წარსულში, მეორე მხრივ - მიმართულია მომავლისკენ. ამ მომავლის ორიენტირი კი არის, ჩემი აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში რეგლამენტირებული

მიზანი - სამართლიანობის აღდგენა ან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, სწორი იქნება - სოციალური სამართლიანობის აღდგენა.

ამგვარად, სასამართლო, გამოტანილი განაჩენით სასჯელის დანიშვნისას, მისი სახის, ვადისა და ზომის განსაზღვრისას, ადგენს სოციალური სამართლიანობის ზომას. სისხლის სამართლის თეორიაში აღნიშნულია, რომ მხოლოდ სამართლიანი სასჯელი, დანიშნული კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, შეიძლება იყოს მსჯავრდებულის გამოსწორების საწყისი და უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

სასჯელის დანიშვნისას დასახული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, სტანოვსკი მ.ნ. აღნიშნავს, რომ სასჯელის ამა თუ იმ სახის არჩევისას სასამართლო ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, გამოვიდეს სასჯელის ზოგადი არსიდან და მიზნიდან, რომლის წინაშეც მას აყენებს კანონმდებელი.[16]

ბევრი ავტორი არასათანადოდ აფასებს დანიშნული სასჯელის გავლენას სასჯელის მიზნის მიღწევაზე. ს.ვ. მაქსიმოვი ამბობს, რომ მსჯავრდებულის გამოსწორების მიზანი მიიღწევა არა სასჯელის დანიშვნით, არამედ მისი აღსრულებით, რაც, ვფიქრობ, არასწორია.

ჩემი აზრით, მეტწილად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და სასჯელის დანიშვნა უკვე

[16] М. Н. Становский, Назначение наказания., СПб., 1999, გვ. 480

არის დამნაშავის მხრიდან მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და ქცევის გაანალიზებისა და გამოსწორების ათვლის წერტილი.

მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება, რომ სასჯელის დანიშვნისას სავალდებულოა განსაზღვრული არჩევითი მექანიზმის არსებობა.

რუსი მეცნიერი, ე. ვ. იუდინი, აყალიბებს მოცემული მექანიზმის შემდეგ სტრუქტურას:

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი
2. სასჯელის დანიშვნის პრინციპი
3. სასჯელის დანიშვნის საერთო საფუძვლები (საწყისები)
4. სასჯელის დანიშვნის სპეციალური წესები
5. სასჯელის ცალკეული სახეების დანიშვნის განსაკუთრებული პირობები.[17]

მეცნიერთა მოსაზრებით, ზემოაღნიშნული პრინციპები სისხლის სამართლის მეცნიერებაში არაა საკმარისი და ყოვლისმომცველი. ამის დასადასტურებლად სკრიაბინი ასახელებს შემდეგ პრინციპებს:

1. სასჯელის დანიშვნის კანონიერება
2. დანიშნული სასჯელის ჰუმანურობა
3. სამართლიანობა
4. ინდივიდუალიზაცია

ანუ თითოეული დანაშაულისთვის ცალკე სასჯელის დანიშვნა და საბოლოოდ ერთიანი სასჯელი, როგორც ძირითადი და, ასევე, დამატებითი სასჯელი რამდენიმე დანაშაულისა და განაჩენისთვის.

მ. ნ. სტანოვსკის აზრით, სასამართლოებმა სასჯელის დანიშვნისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა იხელმძღვანელონ:

1. კანონიერების
2. სამართლიანობისა

და 3. ჰუმანიზმის პრინციპებით,

ბაბაევის მოსაზრებით

1. კანონიერებით
2. ჰუმანურობით
3. სასჯელის სამართლიანობითა

[17] Е. В. Юдин, Наказание и восстановление социальной справедливости в уголовном законе, теории и правоприменительной практике, Иркутск, 2007, გვ. 188

და 4. დასაბუთებულობით.[18]

კრუვლიკოვი და სხვა მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სასჯელის დანიშვნის ინსტიტუტს ახასიათებს ისეთი პრინციპები, როგორიცაა:

1. კანონიერება,
2. ჰუმანიზმი,
3. პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის სისხლისსამართლებრივი პრინციპები,
4. პასუხისმგებლობის ეკონომიის ზომები.

იმის გათვალისწინებით, რომ სასჯელის დანიშვნის პრინციპები არის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დამაგრებული სახელმძღვანელო იდეები, მოთხოვნები, განსაზღვრული საფუძვლები, პირობები, წესრიგი, ხასიათი და სასამართლოს მიერ დანაშაულის ჩამდენის მიმართ გამოყენებული სასჯელის მოცულობა.

სასჯელის დანიშვნის პრინციპთა სისტემა რ.ნ. ხამიტოვის აზრით, უნდა იყოს შემდეგი:

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი, სასჯელის დანიშვნის სპეციფიკიდან გამომდინარე -

1. კანონიერება,
2. მოქალაქეთა თანასწორობა,

2.1 კანონის,

2.2 ბრალის,

2.3 სამართლიანობისა

და 2.4 ჰუმანიზმის წინაშე.[19]

სისხლის სამართლის კოდექსში სხვადასხვა ფორმით დამაგრებული პრინციპები -

1. დიფერენციაცია,
2. სასჯელის ინდივიდუალიზაცია,
3. სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ზომათა ეკონომია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპები განსაზღვრავენ როგორც სასჯელის დანიშვნის საფუძვლებსა და საზღვრებს, ისე გვთავაზობენ სასჯელის მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს.

---

[18] М. Н. Становский, Назначение наказания, СПб., 1999, გვ. 480

[19] Р. Н. Хамитов, Специальные правила назначения наказания, М., 1997, გვ. 208

სასჯელის მიზნები განიხილება ზემოაღნიშნულ პრინციპებთან ერთად.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ სისხლისსამართლებრივი სასჯელის დანიშვნის პრინციპები არ ქმნის ჩაკეტილ სისტემას, მუდმივად იცვლება. ამიტომ აუცილებელია ამ სახელმძღვანელო იდეების ცალ-ცალკე განხილვა და მათი შინაარსის გააზრება.

უმთავრესი კანონიერების პრინციპია, რომელიც მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლში. კანონიერების პრინციპი სისხლის სამართალში ნიშნავს, რომ მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად უდევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას, ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის პასუხისმგებლობას, სასჯელის დანიშვნასა და მისგან გათავისუფლებასა და სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგის დადგომას, ფორმულირებული უნდა იყოს კანონში, საკანონმდებლო ორგანოს უმაღლეს აქტში. ამგვარად, სისხლის სამართლის ერთადერთი წყაროა სისხლის სამართლის კანონი.[20]

აღსანიშნავია, რომ კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები ცივილიზებულ სამყაროში რეალური საფუძველია სამართლიანობის, სოციალური სამართლიანობის აღდგენისთვის. ბუნებრივია იმის ვარაუდი, რომ სასჯელის მიზანი ვერ მიიღწევა უდანაშაულოს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისას. იგივე შეიძლება ითქვას, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობისას. სამართლიანობის პრინციპის არსი კი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიმართ სამართლებრივ სასჯელშია.

სასჯელის მიზნის მიღწევის მექანიზმში არანაკლებ ღირებულია ჰუმანიზმის პრინციპი. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მოცემული პრინციპი შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით.

ერთი მხრივ, ჰუმანიზმის პრინციპი გულისხმობს ადამიანის, როგორც უმაღლესი ფასეულობის, უფლებების, თავისუფლების, პატივისა და ღირსების, მისი ინტერესების დაცვას და, ზოგადად, ნაციონალურ უსაფრთხოებას.

მეორე მხრივ, ჰუმანიზმის პრინციპი ეხება მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გამოტანილია განაჩენი ან სისხლისსამართლებრივი ხასიათის სხვა ზომა. მათი მიზანი არ უნდა იყოს ფიზიკური ტანჯვის მიყენება და ადამიანური ღირსების შეურაცხყოფა.

ისეთი პრინციპები, როგორიცაა:

- დიფერენციაცია

[20] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009 წელი

- სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაცია
- მიზანშეწონილობა
- სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ზომების ეკონომია,

განიხილება სასჯელის მიზნის მიღწევის მექანიზმის მნიშვნელოვან ინსტრუმენტებად. სასჯელის მიზანი წარმატებით მიიღწევა და არსებითი ნაბიჯები გადაიდგმევა სოციალური სამართლიანობის აღდგენისკენ, სისტემურად გაიაზრება და რეალიზდება ზემოაღნიშნული პრინციპები და მათი კრიტერიუმები.

ამიტომ არასწორია ერთ პრინციპზე ორიენტირება და სხვათა იგნორირება. აუცილებელია, როგორც უკვე აღვნიშნე აქამდეც, პრინციპების ურთიერთმიმართება, ურთიერთკავშირი ცალკეულ პრინციპებსა და მათ სისტემებს შორის მთლიანად.

სამართლიანი სასჯელის კრიტერიუმებს სასჯელის სამართლიანობის მასშტაბის შეფასებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუმცა აღნიშნული კრიტერიუმები არასაკმარისადაა შემუშავებული სისხლის სამართლის ლიტერატურაში.[21]

ე.ვ. იუდინი კრიტერიუმებს ყოფს სამ ჯგუფად:

1. სასჯელის განხორციელების წინასწარი პირობების შექმნა
2. დამნაშავის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის ზომა
3. სასჯელი, როგორც პროცესი.

სასჯელის პრობლემებთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი თეორიების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასჯელი არსებობს მატერიალურად, გრძნობებისა და გონების მოთხოვნებსა და შესაძლებლობებში (ი. ფოინიცკი); სასჯელის უფლება დაფუძნებულია უფლების იძულებით დაცვის აუცილებლობაზე (პოზნიშევი); დასჯის უფლება ეფუძნება მორალურ ღირებულებებს (იუდინი).

ამგვარად, დასჯის უფლება ეფუძნება შემდეგ კრიტერიუმს: დადგენილი სისხლისსამართლებრივი აკრძალვის სამართლიანობა. მოცემული მდგომარეობა ნათელი და გასაგებია.

სისხლისსამართლებრივი აკრძალვის სამართლიანობა დაფუძნებულია პოტენციური დაზარალებულის ზრუნვაზე. ამ კრიტერიუმით, დასჯის უფლება უზრუნველყოფს რეალურ დაზარალებულზე ზრუნვას.

იმ მონაცემების სისრულე და ჭეშმარიტება, რომლებიც ახასიათებს დანაშაულის გარემოებებს,

[21] И. Фойницкий, Учение о наказании в связи с тюрьмоведением, М., 2000, გვ. 9

ბრალდებულის პიროვნებასა და სხვა ფაქტებს, რომელთაც, თავის მხრივ, კავშირი აქვს საქმესთან. აღნიშნული კრიტერიუმი, ვფიქრობ, არ საჭიროებს დამატებით ახსნა- განმარტებას.

სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის სწორად გაგება. სასჯელის ობიექტური შეფასებისთვის სავალდებულოა მასშტაბი, რომელიც ჩნდება განზოგადების პირობებში. მოგვიანებით კი მასშტაბს აწესრიგებს კანონმდებელი. მოცემული კრიტერიუმი ახასიათებს დანაშაულს, როგორც სოციალურ მოვლენასა და მასზე რეაქციას.[22]

პირთა მაღალი ზნეობრივი დონე, რაც განმსაზღვრელია სასჯელის დანიშვნისა და მისი აღსრულებისას. აღნიშნული კრიტერიუმის არსიდან გამომდინარე, მოცემული საქმიანობის განმახორციელებელი უნდა იყოს მაღალზნეობრივი, ჰქონდეს მდიდარი შინაგანი სამყარო და მოქმედებდეს მხოლოდ თავისი სინდისითა და ნების თავისუფლებით.

ძალაუფლებითი ურთიერთობები. ამ კრიტერიუმის არსი არის ის, რომ დამსჯელსა და დასასჯელს შორის უნდა არსებობდეს გარკვეული კავშირი, რომელიც დაგვეხმარება იმის გაგებაში, რომ დასასჯელს მის ხელთ არსებული, სახელმწიფოსგან მინიჭებული ძალაუფლებითი უფლებამოსილებით შეუძლია დასასჯელს დაუნიშნოს სასჯელი სახელმწიფოს სახელით. არავის აქვს უფლება დასაჯოს სახელმწიფოს სახელით, თუ ასეთი სახელმწიფო არ არსებობს. სახელმწიფო კი არ არის, თუ ის არ ასრულებს მისთვის ნაკისრ ვალდებულებებს, ფუნქციებს ან სხვაგვარად არ წარმოადგენს თავს.

კრიტერიუმების მეორე ჯგუფს აერთიანებს ის გარემოება, რომ ისინი სასჯელს ახასიათებენ, როგორც რაღაცის ზომას (არასასიამოვნო შედეგებს).

მოცემული ჯგუფის პირველი კრიტერიუმია სასჯელის ზომათა მიმართვა დამნაშავის პიროვნებაზე. აქ ნაჩვენებია მიზეზობრივი კავშირი სასჯელსა და დამნაშავის პიროვნებას შორის. ამგვარად, თუ ესა თუ ის პიროვნება სჩადის დანაშაულს, დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის განსაზღვრული ზომა მიმართული იქნება მასზე.

მეორე კრიტერიუმი- სასჯელის საზღვრების დადგენისას წარმოიშობა იდეა, რომ სასჯელი შეესაბამებოდეს დანაშაულის ხასიათსა და საზოგადოებრივი საშიშროების დონეს, ბრალდებულის პიროვნებასა და სასჯელის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. შესაბამისობის მოთხოვნა გამომდინარეობს უშუალოდ სამართლიანობის იდეიდან, რადგანაც სასჯელი, როგორც ფასეულობა, უნდა შეიცავდეს რეალიზაციის საზღვრებს და მეორე- სასჯელი, როგორც სოციალური მოვლენა,

[22] М. Шаргородский, Наказание, его цели и эффективность, М., 1973, გვ. 115

გვერდს ვერ აუვლის უნივერსალიზაციასა და ინდივიდუალიზაციას.[23]

კრიტერიუმების III ჯგუფი კი სასჯელს ახასიათებს როგორც პროცესს.

ამ ჯგუფის პირველი კრიტერიუმია სამართლიანობის უზრუნველყოფის უპირატესობა ზემოქმედების ნებისმიერი ზომის გამოყენებისას. ე.ი. სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ზომა უნდა იყოს მოტივირებული და გასაგები დაზარალებულისთვის, საზოგადოებისა და მსჯავრდებულისთვის.

სამართლის ნორმათა რეალიზაციისას ისინი ექვემდებარება ინტერპრეტაციას, რაც იწვევს სამართლის ნორმის არსის დამახინჯებას. ამიტომ მათი დაცვის გარანტი შეიძლება იყოს ორი ელემენტი:

1. სუბიექტის მაღალზნეობრიობა
2. ნორმის რეალიზაციისას მისი შეფასების მასშტაბი.

ორივე ელემენტის დასაყრდენია კანონიერების პრინციპი. აღნიშნული გულისხმობს სასჯელის საფუძვლების, პირობებისა და ზომების სისტემატიზაციას. მხოლოდ სისტემის ჩარჩოში დარჩენისას შესაძლებელია სასჯელის სამართლიანობის ობიექტური შეფასება.

მესამე კრიტერიუმია გადაწყვეტილების მიღებაში შეთანხმებული პროცედურა, რაც უზრუნველყოფს სასჯელის რეალიზაციას. ამ კრიტერიუმის არსია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულისა და მსჯავრდებულის აზრი, მათი ინტერესი. რა თქმა უნდა, სასამართლოს აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც პრიორიტეტული მნიშვნელობა სამართლის საკითხებში.

ზემოაღნიშნული ჯგუფის IV კრიტერიუმია სასჯელის ზომის შეცვლის შესაძლებლობა. გამოყოფილი კრიტერიუმის აზრი შემდეგია: მსჯავრდებულს, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას, უფლება აქვს შეიცვალოს ქცევის წესი და სახე ანუ მისი ქცევა გადაიხაროს, შეიცვალოს და მიმართული იყოს დადებით მხარეს. მისი გადანაცვლება გამოსწორების გზაზე ან პირიქით, საკუთარი ქცევის შეცვლა უარესობისკენ. ამის შემდეგ წყდება მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის ზომის შეცვლის საკითხი. განვითარებულ, ცივილიზებულ სამყაროში, გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს მსჯავრდებულის მდგომარეობა, მისი ქცევა.

სამართლიანი სასჯელის კრიტერიუმები იყოფა სამ ჯგუფად:

1. სასჯელის უფლების გამართლებული არსებობა

[23] М. Шаргородский, Наказание, его цели и эффективность, М., 1973, გვ. 115

2. სასჯელი, როგორც დამნაშავის მიმართ გამოყენებული ზომა

3. სასჯელი, როგორც პროცესი.[24] [25]

მოცემული თავის განხილვის შემდეგ შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა: სამართლიანობის აღდგენის რეალიზაციისთვის სავალდებულოა სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპებით. უპირველეს ყოვლისა, კანონიერების, ბრალეულობის, ჰუმანიზმის, სამართლიანობის, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპებით.

II რიგზეა დამატებითი, ფაკულტატური პრინციპები: დიფერენციაცია, სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაცია, მისი მიზანმიმართულება. სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ზომათა ეკონომია. სამართლიანი სასჯელის დანიშვნისთვის მოცემული მიზნის რეალიზაციისას აუცილებელია სამართლიანობის კრიტერიუმების გათვალისწინება, რაც სამართლიანი სასჯელის წინაპირობაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, შესაძლებელი იქნებოდა სასჯელის დანიშვნისას სამართლიანობის მიღწევა.

[24] М. Шаргородский, Наказание, его цели и эффективность, М., 1973, გვ. 115

[25] М. Н. Становский, Назначение наказания, СПб., 1999, გვ. 480

თავი II. სამართლიანობის აღდგენის თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში

აღსანიშნავია, რომ სამართლიანობის აღდგენა იყო ხელისუფლებაში მოსული კოალიციის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება და პროცესი ინიცირებულ იქნა მათი მოსვლის შემდეგ. პროცესი ითვალისწინებდა იმ პირთა დარღვეული უფლებების, პატივისა და ღირსების აღდგენას, რომლებიც რეპრესირებული იყვნენ წინა ხელისუფლების მმართველობის დროს და იმდროინდელი ხელისუფლების დამნაშავე წარმომადგენელთა დასჯას. საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ფაქტია, რომ ამ დაპირებას უკანასკნელი როლი არ უთამაშია ამომრჩეველთა მიერ კოალიციისა და მათი ლიდერის მხარდაჭერაში. აღნიშნულმა, მათ მოუტანა ხმათა სოლიდური რაოდენობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

საქართველოს პროკურატურის ოფიციალური მონაცემებით, 2012 წლიდან 2015 წლის იანვრამდე, პროკურატურაში შემოვიდა 52,530 განცხადება და საჩივარი, რომლებიც ეხებოდა წინა ხელისუფლების სახელმწიფო მოსამსახურეთა მხრიდან მათ მიმართ უკანონო ქმედებებს. უმრავლეს შემთხვევაში, ეს ეხებოდა სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს. ზემოაღნიშნულ პერიოდში გამოძიება დაიწყო მითითებულ 10 379 განცხადებაში აღნიშნულ კონკრეტულ ფაქტებზე. ისინი, მათ შორის, მოიცავდა ქონების უკანონო ჩამორთმევას, სოციალური, ფიზიკური და მორალური ზიანის მიყენებას.

330 000 არის 2003-დან 2012 წლებში დაპატიმრებულთა ოფიციალური სტატისტიკური რაოდენობა. საქართველო ამ მაჩვენებლით მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ეს არის ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 7.5%, ქართული ეთნოსის დაახლოებით 10% და სამუშაო ასაკის ქართველი მამაკაცების 35%. სამართლიანობის აღდგენის პროცესის ფარგლებში მთავრობის განკარგულებით, საქართველოს პროკურატურაში ახალი დეპარტამენტი შეიქმნა, რომელიც წინა ხელისუფლების დროს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიებაზე მუშაობს.

საქართველოს პროკურატურის განცხადებით, მის უწყებაში შესული იყო „ათასობით განცხადება სამართალწარმოების განხორციელების პროცესში მოქალაქეების მიმართ ჩადენილი წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, იძულების, აგრეთვე ქონების იძულებით

დათმობის სავარაუდო ფაქტების არსებობის შესახებ“.[26]

„ახლადშექმნილი დეპარტამენტი უზრუნველყოფს როგორც ზემოთ მითითებული სავარაუდო დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, ასევე გამოძიების პროცესში საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებასა და საქმის სასამართლოში წარმართვის შემთხვევაში, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დეპარტამენტის მიერ გახსნილი იქნა რამდენიმე საქმე. კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2010 წლის 6 სექტემბერს მთავარ პროკურატურას დაკავებული ჰყავდა სამშენებლო კომპანია ,,მშენებელი XXI საუკუნის“ დირექტორი და დამფუძნებელი მ. ლ. და ნ. ბ., რომელთაც ედავებოდნენ მშენებლობის პროცესში ამხანაგობის კრების ოქმის გაყალბებას და მათ უკანონოდ გამოყენებას.

გამოძიების მსვლელობისას მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებმა პროკურატურაში დაიბარეს დაკავებული მშენებლების ნ. ბ.-ისა და მ. ლ. მეუღლეები – მ. რ. და მ. მ., რომლებსაც განუცხადეს, რომ თუ სურდათ მათ მეუღლეებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ამისთვის აუცილებელი იყო უსასყიდლოდ დაეთმოთ წყნეთის გზატკეცილ 39-ში მდებარე მათ კანონიერ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები, წინააღმდეგ შემთხვევაში ნ. ბ.-სა და მ. ლ.-ს დიდი ხნით მოუწევდათ ციხეში ყოფნა. აღნიშნული ზეწოლის შედეგად, პროკურატურაში არაერთი გამოძახების შემდეგ, მ. რ. და მ. მ. იძულებულნი გახდნენ დათანხმებოდნენ პროკურატურის უკანონო მოთხოვნას და მათ საკუთრებაში არსებული ბინები სახელმწიფოს სახელზე გადააფორმეს. მხოლოდ ამის შემდეგ პროკურატურამ ბრალდებულებთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, სადაც არ იქნა ასახული შეთანხმების ,,ჩრდილოვანი პირობა“ – ბინების დათმობა, ბრალდებულებს განესაზღვრათ პირობითი მსჯავრი, დაეკისრათ ჯარიმები და მათ დატოვეს საპატიმრო დაწესებულება. უკანონოდ ჩამორთმეული ბინები კი პროკურატურის და თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე აღირიცხა.

გამოძიებასთან გამოჩენილი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, ბინების ჩამორთმევაში მხილებული ყოფილი პროკურორის მიმართ გამოყენებულ იქნა დისკრეცია და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის არ დაწყებულა. თანამშრომლობის შედეგად კი, გამოძიება გაგრძელდება პროკურატურის ყოფილი ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიმართ. დაზარალებულ მოქალაქეებს მ. მ.-ს, მ. ლ.-ს, ნ. ბ.-სა და მ. რ.-ს დაუბრუნდებათ ამჟამად სახელმწიფოს ბალანსზე

[26] www.pog.gov.ge/page/default/saqarTvelos-mTavari-prokuraturis-2016-wlis-angarishi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-31.01.2020

რიცხული წყნეთის გზატკეცილ 39- ში მდებარე 150 000 დოლარამდე ღირებულების 166 და 87 კვადრატული მეტრი ორი საცხოვრებელი სახლი.

გარდა ამისა, საქართველოს პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა კიდევ ერთი დაზარალებული მოქალაქის რ. თ.-ის დარღვეული უფლების აღდგენა მოახერხა. რ. თ. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 5 ივლისს უსაფუძვლოდ დამნაშავედ ცნო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის და სასჯელად განუსაზღვრა 50 000 ლარის ოდენობის ჯარიმა, ჩამოართვა საცხოვრებელი ბინა და საოფისე ფართი და მიუსაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2016 წლის 14 იანვარს, პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა რ. თ.-ის რეაბილიტაცია – მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა და უკანონოდ ჩამორთმეული საცხოვრებელი ბინისა და საოფისე ფართის დაბრუნება. [27]აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და დაადასტურა, რომ რ. თ.-ს უკანონოდ ედებოდა ბრალი საცხოვრებელი ბინისა და საოფისე ფართის შეძენის გზით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რის საფუძველზეც მას ჩამორთმეული ჰქონდა ხსენებული უძრავი ქონებები. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 29 თებერვალს რ. თ.-ის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, მოუხსნა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 50 000 ლარი.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართავს, რათა დაზარალებულ მოქალაქეს, რ. თ.-ს, დაუბრუნდეს სახელმწიფო ბალანსზე რიცხული, ნახევარ მილიონ ლარამდე ღირებულების, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე დუპლექსის ტიპის 535 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა და ამავე მისამართზე მდებარე 57,04 კვადრატული მეტრი საოფისე ფართი.

საქართველოს პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საქმიანობა მისი დებულებით რეგულირდება. დებულების თანახმად, დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს კანონიერებისა და სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე. მისი

[27]www.pog.gov.ge/page/default/saqarTvelos-mTavari-prokuraturis-2016-wlis-angarishi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-31.01.2020

ძირითადი ამოცანაა სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება.

დებულებაში ასევე აღნიშნულია, რომ დეპარტამენტი სრული მოცულობით იძიებს და ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ დადგენილ საქმეებზე. ბუნდოვანია, რას გულისხმობს ეს ჩანაწერი დებულებაში და რა რეალურ შეზღუდვებს უწესებს ის დეპარტამენტს. გაურკვეველია, ასევე, დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრულ ყველა საქმეზე განახორციელებს გამოძიებასა და სისხლის სამართლებრივ დევნას, თუ მოხდება გარკვეულ საქმეთა შერჩევა.

შერჩევის შემთხვევაშიც კი არ არის ცნობილი, თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს საქართველოს პროკურატურა.

დეპარტამენტის საქმიანობის სფეროში შემავალ განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიები საჭიროებს მეტ კონკრეტიკასა და, ამასთან, საქმეთა შერჩევის კრიტერიუმების არსებობას. მისი საქმიანობის განმსაზღვრელი პრინციპებიდან გამომდინარე, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა შერჩევისა და დანიშვნის წესის განსაზღვრა, ასევე დეპარტამენტის მუშაობის მაქსიმალური ღიაობა და მაღალი გამჭვირვალობა.

“პროცესი, რომელიც პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა დაიწყო, რაც უკავშირდება დაზარალებული მოქალაქეებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში იძულებით ჩამორთმეული ქონებების დაბრუნებას, აქტიურად მიმდინარეობს და მას ექნება შეუქცევადი ხასიათი” – ნათქვამია საქართველოს პროკურატურის განცხადებაში.[28]

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, ე.წ. „სამართლიანობის აღდგენის“ კუთხით, ბევრი საკითხი კვლავაც ბუნდოვანია.

კითხვებს აჩენს, რატომ გამორიცხავს დეპარტამენტი მსგავსი ტიპის დანაშაულების არსებობას 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ. ეს საკითხი გონივრულ ეჭვს ბადებს დებულებაში ნახსენები პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის რეალურ იმპლემენტაციაზე დეპარტამენტის საქმიანობაში.

2016 წლის აგვისტოში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით კითხვის დასმისას

[28] www.pog.gov.ge/page/default/saqarTvelos-mTavari-prokuraturis-2016-wlis-angarishi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-31.01.2020

განაცხადა, რომ ეს ბრძოლა უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ფიქრობდნენ. ბიზნესმენებთან შეხვედრისას მთავრობის ხელმძღვანელმა თქვა, რომ იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ ამ პრობლემის სისტემურ რეგულირებაზე. "ჩვენ ვერ შევქმენით მექანიზმი, რომელიც ერთ კონტექსტში განიხილავდა სამართლიანობის აღდგენის პროცესს, ვერ შევქმენით სისტემა, რომელიც მასობრივად აღადგენდა სამართლიანობას. მაგრამ სასამართლოსადმი მიდგომები შეიცვალა".

დღეს, მეტწილად, საქართველოში სამართლიანობის აღდგენა მიმდინარეობს კერძო საჩივრების გზით.

ცნობილი საზოგადო პიროვნებების ორმა რეზონანსულმა მკვლელობამ, ჩადენილმა დროის უმოკლეს პერიოდში, ააფორიაქა საზოგადოება. 2015 წლის იანვარში ცნობილი საზოგადოებრივი აქტივისტი, ი. ვ., გარდაიცვალა შვილის საფლავზე საფლავის ფირფიტის ქვეშ დადებული ყუმბარის აფეთქების შედეგად. იმავე წლის მარტში ქილერმა მოკლა ცნობილი ბიზნესმენი ბ. ხ.მისი სახლის ზღურბლთან. ორივე მკვლელობის არც შემსრულებლები და არც ორგანიზატორები არ არიან დასჯილნი. ჯერჯერობით მხოლოდ ერთი მოქმედი პოლიციელია მიცემული პასუხისგებაში.

ზოგი თვლის, რომ ვ.-ისა და ხ.-ს მკვლელობათა ორგანიზატორები ცდილობდნენ რამდენიმე მიზნის მიღწევას:

1. არასასურველი ოპონენტების განადგურებას
2. შიშის დანერგვას
3. საზოგადოებაში დაურწმუნებლობისა და დაუცველობის დანერგვას
4. ხელისუფლების დისკრედიტაციას
5. ხელისუფლების წინააღმდეგ მისივე ელექტორატის ამხედრებას
6. სამართლიანობის აღდგენის პროცესის შეჩერებას.[29]

სამართლიანობის აღდგენა იყო "ქართული ოცნების"კოალიციის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება. პროცესი ინიცირებულ იქნა "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. პროცესი ითვალისწინებდა რეპრესირებულ მოქალაქეთა დარღვეული უფლებებისა და ღირსების აღდგენას, იმდროინდელი ხელისუფლების დამნაშავე წარმომადგენელთა დასჯას.

საქართველოს პროკურატურის ოფიციალური მონაცემებით, 2012-და 2015 წლის იანვრის ჩათვლით, პროკურატურაში შევიდა მოქალაქეთა 52530 განცხადება და საჩივარი, რომლებიც ეხებოდა წინა ხელისუფლების სახელმწიფო მოსამსახურეთა მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს.

[29] www.iri.org/country/Georgia, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-31.01.2020

უმეტეს შემთხვევაში ეს ეხებოდა სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს. თავდაპირველად გამოძიება დაიწყო 10379 განცხადებაში აღწერილი კონკრეტული ფაქტების საფუძველზე. აღნიშნული ფაქტები შეიცავდა ინფორმაციას:

1. ქონების უკანონოდ ჩამორთმევაზე
2. სოციალური ზიანის მიყენებაზე
3. ფიზიკური ზიანის მიყენებაზე
4. მორალური ზიანის მიყენებაზე.

არსებობს ვარაუდი, რომ ი. ვ.-სა და ბ. ხ.-ს მკვლელობის ორგანიზატორები შიშობდნენ,რომ წარმატების შემთხვევაში ბ. ხ.-სა დაიწყო.ვ. -ს მაგალითზე, ბევრი დადგებოდა სამართლიანობისთვის ბრძოლის გზას, განსაკუთრებით ისინი, ვინ იმყოფებოდა ანალოგიურ მდგომარეობაში და გაორმაგებული ენერგიით შეეცდებოდნენ თაროზე შემოდებული საქმეების მიმართ გამოძიების სწრაფად ჩატარებას. შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული მკვლელობები, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, იყო ერთგვარი გაფრთხილება სხვებისთვის, რომ მათი გადამეტებული აქტიურობა მათვე აქცევს პოტენციურ დაზარალებულებად და მსხვერპლებად.

შეიძლება ხანგრძლივი მსჯელობა მიზეზებზე, რომლებმაც დაამუხრუჭა სამართლიანობის აღდგენა. აღნიშნული მიზეზები არის რთული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გადაკვეთა. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე, მათ შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია, რომ პროცესის შენელება გამოიწვია ხელისუფლების არასისტემურმა დამოკიდებულებამ სამართლიანობის აღდგენის პროცესის მიმართ. პროცესი, სახელად "სამართლიანობის აღდგენა" ჩაივლიდა უფრო შედეგიანად და სასარგებლოდ, როგორც სამართლებრივ, ისე პოლიტიკურ და მორალურ ჭრილში, თუ მისი განხორციელებისა და რეალიზაციის ეტაპები ლოგიკურად იქნებოდა დაკავშირებული ერთმანეთთან.

საკითხისადმი ქაოსურმა და არასისტემურმა დამოკიდებულებამ მოგვიყვანა შეცდომების სერიამდე. პირველი სერიოზული შეცდომა ახალმა ხელისუფლებამ დაუშვა, ელექტორატის მოთხოვნის კვალდაკვალ, სამართლიანობის აღდგენაზე ზრუნვის დაწყებით საზოგადოებასთან წინასწარი დიალოგის გარეშე, მათ შორის, რეპრესიის მსხვერპლებთან საუბრის გარეშე. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აუხსნიათ მოქალაქეებისთვის მოცემული პროცესის სირთულე, ხანგრძლივობა და შრომატევადობა.

წინა ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა, ჩინოვნიკების დაკავებამ, რასაც, თავის

მხრივ, საფუძველად დაედო სუსტი მტკიცებულებითი ბაზა, გამოიწყია, ის, რომ სასამართლოებში პროკურატურის მიერ წარმოდგენილი საქმეები, ერთი მეორის მიყოლებით, "ჩამოიშალა".

მეორე შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ არ მიეცა არანაირი სამართლებრივი და მორალური შეფასება წინა ხელისუფლების:

1. საკანონმდებლო
2. პოლიტიკურ
3. მორალურ-ფსიქოლოგიურ გარემოს.

სავალდებულო იყო ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის არგუმენტირებული, ფაქტობრივი სურათის წარმოჩენა, რომელიც დაადასტურებდა წინა ხელისუფლების კანონდარღვევათა სისტემურ ხასიათს. ეს დაეხმარებოდა სამართლიანობის აღდგენის პროცესს, შესძენდა მას ლეგიტიმურობას და ჩაივლიდა შედარებით ნაკლები პოლიტიკური და რეპუტაციური დანაკარგებით.

თეორიასა და პრაქტიკაშიც, მოცემულ შემთხვევაში, თითქმის ყოველთვის ჩნდება ეჭვი, რომ მართლმსაჯულება გამოყენებულ იქნა პოლიტიკური მიზნით, განსაკუთრებით, არასაკმარისად ინფორმირებული შიდა დამკვირვებლების მხრიდან.

კიდევ შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესს არ უსწრებდა მართლმსაჯულების ორგანოთა და სამართალდამცავი სტრუქტურების საფუძვლიანი ინსტიტუციური რეფორმა, რომლებიც გადაიქცა პოლიტიკური რეპრესიების აპარატად. გავრცელებულია მოსაზრება, რომ:

1. სწორედ ამ სტრუქტურებიდან ჟონავდა მნიშვნელოვანი კონფიდენციალური ინფორმაცია
2. ნადგურდებოდა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

დადასტურებულია, რომ ხშირად საქმე ისეთ აბსურდამდე მიდიოდა, რომ ბევრმა მოქალაქემ, რომლებმაც მიმართეს პროკურატურას სარჩელით დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით, აღმოაჩინა, რომ მათ საქმეებს განიხილავდნენ ის პროკურორები და გამომძიებლები, რომლებიც თავად იყვნენ ჩართული ამ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებში.

ზემოაღნიშნულ სტრუქტურათა რეფორმირება, შესაძლოა, მოითხოვს არაერთ წელს, იმის გათვალისწინებით, რომ დიდია კვალიფიციური და კარგი რეპუტაციის მქონე კადრთა დეფიციტი.

როგორც უკვე აღვნიშნე, 2014 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის შემადგენლობაში შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც შეისწავლიდა დაზარალებულ მოქალაქეთა

საჩივრებს. მანამდე იყო წარუმატებელი მცდელობა შექმნილიყო სახელმწიფო კომისია, რომელიც გამომძიებლად მართლმსაჯულების დარღვევის ფაქტებს. აღნიშნული კომისია არ შეიქმნა, რამაც საზოგადოების ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. მმართველმა გუნდმა განაცხადა, რომ ფინანსური ხასიათის მრავალრიცხოვანი სარჩელების დაკმაყოფილება მძიმე ტვირთად დააწვებოდა ბიუჯეტსა და საქართველოს ეკონომიკას. 2014 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა, პეტიციაზე 20 ათასი ხელმომწერის დაყრდნობით, მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მთავარ პროკურატურას რეკომენდაციით, დაწყებულიყო გამოძიება 2004-2012 წლებში ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ. უმცა, როგორც უკვე ითქვა, ამ მონაცემებმა არ მიიღო ოფიციალური დოკუმენტის ფორმა, რომელიც თვალსაჩინოდ აჩვენებდა, რომ 2004-2012 წლებში გავრცელებული იყო სისტემური დანაშაულები და მასობრივად ირღვეოდა ადამიანის ფუნდამენტური და კონსტიტუციური უფლებები. ექსპერტების ნაწილის აზრით, იმისთვის, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიძრას ადგილიდან და მოიტანოს მოსალოდნელი შედეგები, სავალდებულო და აუცილებელია ქვეყნის კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებების შეტანა.

ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, სამართლიანობის აღდგენის გზაზე კიდევ ერთი წინაღობაა მმართველ გუნდში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საერთო შეხედულებისა და პოზიციის არარსებობა. ლოგიკურად ისმებოდა კითხვა, სამართლიანობის აღდგენის პროცესი რატომ ეხებოდა მხოლოდ წინა ხელისუფლების რვაწლიან მმართველობას და გამორიცხავდა წინა ტურბულენტურ პერიოდს, რომელიც დახუნძლული იყო მოქალაქეთა უფლებების დარღვევითა და სხვა ნეგატიური მოვლენებით. [30]

სამართლიანობის აღდგენის პროცესის არასრულფასოვნება მწვავედ ვლინდება საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა ეტაპსა და სფეროში. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ფართოდ მუსირებდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წინა და ახლანდელი ხელისუფლებების წარმომადგენელთა მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია.

[30] John Braithwaite, Crime, shame and reintegration, Cambridge, England, 1989.

თავი III. კვლევის შედეგები

შეიძლება დიდხანს ვიმსჯელოთ საქართველოში სამართლიანობის აღდგენის შემაფერხებელ ფაქტორებზე. ეს არის რთულად გადაჯაჭვული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. ერთ-ერთი მიზეზია პროცესისადმი ხელისუფლების უსისტემო მიდგომა. პროცესი, რომელსაც ვუწოდებთ "სამართლიანობის აღდგენას", ჩაივლიდა უფრო სასარგებლოდ და შედეგიანად სამართლებრივი, პოლიტიკური და, მათ შორის, მორალური თვალსაზრისით, თუ მისი განხორციელების ეტაპები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებოდა ლოგიკურად.

ზემოთ ხსენებული მეცნიერების უმრავლესობა თვლის, რომ სამართლიანობის აღდგენა წარმოუდგენელია საზოგადოებასთან, რეპრესიის მსხვერპლებთან წინასწარი დიალოგის გარეშე. ხელისუფლება ვალდებულია მათ აუხსნას ამ პროცესის სირთულე და ხანგრძლივობა. თავდაპირველად, სავალდებულოა ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებისთვის კარგად შეფუთული და არგუმენტირებული ფაქტობრივი სურათის წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობასა და სამართალდარღვევების სისტემურ ხასიათს. აღნიშნული სამართლიანობის აღდგენის პროცესს სძენს დიდ ლეგიტიმაციას და იგი ხორციელდება ნაკლები დანაკარგებით. მსგავს შემთხვევებში ჩნდება ეჭვი, რომ მართლმსაჯულება გამოიყენება პოლიტიკური მიზნებისთვის, განსაკუთრებით, არასაკმარისად ინფორმირებულთა მხრიდან.[31]

სამართლიანობის აღდგენის პროცესს წინ უნდა უძღოდეს მართლმსაჯულების ორგანოებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების საფუძვლიანი ინსტიტუციური რეფორმა.

ხელისუფლებაში მოსვლიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ, საზოგადოების ზეწოლის შედეგად, ის იძულებული გახდა მთავარი პროკურატურის შემადგენლობაში შეექმნა სპეციალური დეპარტამენტი. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მისი მოვალეობაა დაზარალებულ მოქალაქეთა საჩივრების შესწავლა და გამოძიება. მანამდე იყო წარუმატებელი ცდა სახელმწიფო კომისიის შექმნისა, რომელიც მიმართული იქნებოდა მართლმსაჯულების დარღვევის ფაქტების დადგენისკენ. აღნიშნული კომისია არ შექმნილა და გამოიწვია საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური რეაქცია. რიგი ექსპერტებისა თვლის, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესის ადგილიდან ძვრისა და სასურველი შედეგის მიღებისთვის აუცილებელია ქვეყნის კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებების

[31] www.iri.org/country/Georgia, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-31.01.2020

განხორციელება.[32]

სამართლიანობის აღდგენის პროცესის ხარვეზები თვალნათელია. საკმარისია იმის თქმა, რომ სრული ოთხი წლის მანძილზე შეიცვალა სამი მთავარი პროკურორი.

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 პრიმა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებებისთვის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა და წამება, ზემოაღნიშნული პერიოდის მანძილზე 40 პირის მიმართ განიხილეს საქმე, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი 31 მათგანის მიმართ დადგა.

საქართველოს I-ლი ინსტანციის სასამართლოებში 2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე საჯარო მოხელეების (რომელთაც დანაშაული 2004-2012 წლებში ჩაიდინეს) მიმართ გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა:

სსკ მუხლები	**განაჩენი**	**მათ შორის**	
		გამამტყუნებელი	**გამამართლებელი**
	პირი	**პირი**	**პირი**
სულ	**201**	**183**	**18**
განზრახ მკვლელობა (108 მუხლი)	1	1	
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (109)	2	2	
სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება (138)	3	3	
თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143)	9	6	3

[32] Tony Marshall and S. E. Merry, Crime and accountability, London, England, 1990.

წამება (144[1])	19	10	9
დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (144[3])	21	21	
ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა (154)	1	1	
დევნა (156)	2	2	
თაღლითობა (180)	8	8	
მითვისება ან გაფლანგვა (182)	10	10	
ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (210)	3	3	
საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა (214)	3	3	
ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (236)	3	3	
ხულიგნობა (239)	2	2	
ქრთამის აღება (338)	17	17	
ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის,	4	4	

პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (260)			
ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთოხების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა (276)	9	9	
სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (332)	21	21	
სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (333)	21	21	
განმარტების, ჩვენების, ან დასკვნის მიცემის იძულება (335)	6		6
ქრთამის აღება (338)	6	6	
სამსახურებრივი სიყალბე (341)	8	8	
სამსახურებრივი გულგრილობა (342)	16	16	
ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (362)	1	1	
აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო ქმედება (376)	2	2	

ზემაღნიშნული გრაფის თანახმად, საქართველოს I-ლი ინსტანციის სასამართლოებში 2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე 201 საჯარო მოხელის (რომელთაც დანაშაული 2004-2012 წლებში ჩაიდინეს) მიმართ გამოტანილ იქნა განაჩენი. როგორც ცნობილია, განხილული სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოოდ მისაღები გადაწყვეტილება, განაჩენი შეიძლება იყოს:

1. გამამართლებელი
2. გამამტყუნებელი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს I-ლი ინსტანციის სასამართლოებში 2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე 183 საჯარო მოხელის (რომელთაც დანაშაული 2004-2012 წლებში ჩაიდინეს) მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 18 მოხელის მიმართ-გამამართლებელი განაჩენი. ყველაზე მეტი გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია საქარტველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, რაც სამოხელეო დანაშაულთა კატეგორიის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას განეკუთვნება. ამ დანაშაულის სუბიექტები არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების წევრები და თანამშრომლები, საარჩევნო სუბიექტები (მხოლოდ ამ კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის), კერძო აღმასრულებლები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლი გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, ისე იმ პირის მიერ, რომელსაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობა არ უკავია და არ შედის საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ პირთა წრეში:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) საქართველოს პრემიერ - მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი;

დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;

ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები.[33]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლი გულისხმობს დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას ანუ პირის დამცირებასა ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს. გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია ისეთი სახის დანაშაულზე, როგორიცაა საქართველოს ხისხილის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლით განსაზღვრული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, წამება ანუ პირისათვის ან მესამე პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის.[34]

საქართველოს უზწენაესი სასამართლოს ოფიციალური ინფორმაციით, 2012-2015 წლებში საჯარო მოხელეთა მიმართ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი სამსახურებრივი გულგრილობისა და მითვისება და გაფლანგვისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე და 182-ე მუხლებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342 -ე მუხლის თანახმად, სამსახურებრივი გულგრილობა არის მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა, თუ ეს ნივთი ან ქონებრივი უფლება მიმთვისებლის ან გამფლანგველის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში იმყოფებოდა.[35]

2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის 1 მარტამდე საჯარო მოხელეთა მხრიდან გავრცელებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დანაშაულები, როგორებიცაა:

1. განზრახ მკვლელობა

[33] საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1999 წელი.
[34] სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 წელი
[35] იქვე

2. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში:

   ა) მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით;

   ბ) ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

   გ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, –

   დ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა;

   ე) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა;

   ვ) ხულიგნური ქვენა გრძნობით;

   ზ) რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო;

   თ) გენდერის ნიშნით;

   ი) ჯგუფურად;

   კ) ოჯახის წევრის მიმართ, –

   ლ) ორი ან მეტი პირისა;

   მ) განსაკუთრებული სისასტიკით;

   ნ) ანგარებით ან შეკვეთით;

   ო) მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით;

   პ) არაერთგზის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე–114-ე მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა);

   ჟ) მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით

3. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება ქმედება განხორციელებული გაუკუღმართებული ფორმით ჩადენილი ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით

4. თავისუფლების უკანონო აღკვეთა

5. სამსახურებრივი სიყალბე, ე.ი. სამსახურებრივი სიყალბე, ესე იგი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ოფიციალურ დოკუმენტში ან დავთარში ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანა, ანდა ყალბი დოკუმენტის შედგენა ან გაცემა, აგრეთვე საწარმოს,

დაწესებულების ან ორგანიზაციის საქმეში არსებული ოფიციალური ან კერძო დოკუმენტის გაყალბება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით

6. ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება
7. აღწერილ, დაყადაღებულ ან ჩამორთმევას დაქვემდებარებულ ქონებასთან დაკავშირებული უკანონო ქმედება. აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტია ის ვისაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა, ასევე, საკრედიტო ორგანიზაციის მოსამსახურე, რომელიც ახორციელებს საბანკო ოპერაციებს. ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას დაყადაღებული ფულადი საშუალებით (ანაბრით, ანგარიშით)
8. ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ე. ი. მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან
9. დევნა ანუ დამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით
10. თაღლითობა, ე. ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით
11. ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება
12. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა
13. ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება
14. ხულიგნობა-ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით
15. ქრთამის აღება- მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღება ან მოთხოვნა, ასევე ასეთის თაობაზე შეთავაზების ან დაპირების მიღება თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, რათა ამ მოხელემ

ან მასთან გათანაბრებულმა პირმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისაგან ან გამოიყენოს თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, აგრეთვე განახორციელოს სამსახურებრივი მფარველობა

16. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება
17. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა
18. განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში საჯარო მოხელეთა მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოტანილია ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის, როგორებიცაა:

1. განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება, ქმედება გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით, რაც გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ მუქარით, მოტყუებით, შანტაჟით ან სხვა უკანონო ქმედებით პირის იძულებას განმარტების ან ჩვენების მიცემისათვის ანდა ექსპერტისა – დასკვნის მიცემისათვის, ქმედების დამამძიმებელი გარემოებაა, ქმედება ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ან/და ორგანიზებული ჯგუფის მიერ
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქმედება გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით
3. წამება, ქმედება გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 მუხლით.

საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიშში, რომელიც მოიცავდა საქმიანობის პერიოდს 2015 წლის 27 ნოემბრიდან 2016 წლის 30 მაისამდე, დასათაურებულია შემდეგნაირად: „დაბრუნებული ქონება და დაზარალებულთა აღდგენილი უფლებები“.

მასში აღნიშნულია, რომ „2012 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში მოქალაქეებისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევას და დათმობას ჰქონდა ორგანიზებული ხასიათი, სხვადასხვა სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომლები მოქმედებდნენ საერთო ხელწერით და მაღალი

თანამდებობის პირების დავალებები.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობის შედეგად ჯამში დაზარალებული მოქალაქეებისთვის დაბრუნებულია დაახლოებით 15 349 009 ლარის ღირებულების ქონება.

54 დაზარალებულ მოქალაქეს დაუბრუნდა და დაბრუნების პროცესშია :

- 41 ა/მანქანა;
- 9 მიწის ნაკვეთი;
- 3 საცხოვრებელი ბინა;
- 1 საოფისე ფართი;
- 48 დასახელების ოქროს ნაკეთობები;
- აკურას ღვინის ქარხანა;
- გორში მდებარე სასტუმრო კომპლექსი დამაგრებული მიწის ნაკვეთით;
- გორის საცურაო კომპლექსი დამაგრებული მიწის ნაკვეთით.

ქონების დაბრუნება შესაძლებელი გახდა ქონების იძულებით ჩამორთმევის 36 ფაქტის გახსნის და გამოძიების შედეგად, რასთან დაკავშირებითაც მხილებულია: 27 საჯარო მოხელე.

აქედან, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ (არჩაია; კეზერაშვილი; ადეიშვილი 2 ეპიზოდში; მერაბიშვილი, ლაცაბიძე); დისკრეცია გამოყენებულ იქნა 20 პირის მიმართ და 1 შემთხვევაში განრიდება; გამოძიება შეწყდა 2 პირის მიმართ გარდაცვალების გამო.

გარდა ამისა, დასრულდა და სასამართლოში არსებითად განსახილველად წარიმართა ტელეკომპანია ,,იბერია“-ს იძულებით დათმობისა და ე.წ ,,ფოთის პორტის“ საქმეები.

სსსკ-ის 310-312 მუხლების საფუძველზე ჩვენს მიერ 4 სს საქმეზე შეტანილი იქნა შუამდგომლობა სააპელაციო სასამართლოში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოტივით. 1 შემთხვევაში მოხსნილ იქნა უკანონოდ წარდგენილი ბრალდება ნაწილში და მსჯავრდებული განთავისუფლდა სასამართლო დარბაზიდან. 2 შემთხვევაში დაყენებული იქნა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 1 სს საქმეზე სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული შუამდგომლობა და ამჟამად გასაჩივრებულია საკასაციო წესით”.

რაც შეეხება 2017 წელს, გამოვლენილია მოქალაქეებისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 20 ფაქტი და მხილებულია 3 საჯარო მოხელე, რომელთა მიმართ, გამოძიებასთან თანამშრომლობის გათვალისწინებით, გამოყენებული იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება.

2017 წელს ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტების გამოძიების შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი 49 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დაუბრუნდათ დაახლოებით 22 122 911 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება.

2017 წელს საქართველოს პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 34 მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით.

აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომლის ფარგლებში მოპოვებულმა მტკიცებულებებმა გამორიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი იყვნენ მსჯავრდებულნი. ამავე პერიოდში, საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ხელახალი განხილვის შედეგად გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 6 პირის მიმართ.[36]



[36] www.pog.gov.ge/page/default/saqarTvelos-mTavari-prokuraturis-2016-wlis-angarishi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-31.01.2020



დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე გავრცელებულ დანაშაულებზე





დევნის დაწყების მაჩვენებელი (2014-2015 წწ.)

ნიშანდობლივია, რომ 2014-2015 წლებში, საქართველოს მთავარი პროკურატურის წიაღში შექმნილი დეპარტამენტის მუშაობის პირველ პერიოდში, 2014 წლის საქმ,იანობის 4 თვეში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი 19298 პირის მიმართ, მაშინ როცა აღნიშნული მაჩვენებელი 2015 წელს ჩამოუვარდება 2014 წლის იმავე მაჩვენებელს და შეადგენს 17823 პირს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არის ფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულის ჩამდენი პირის მხილება და მის მიმართ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების უზრუნველყოფა.[37]

2014-2015 წლებში საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლით, ლიდერობს 2014 წელი. 2014-2015 წლების სისხლისსამართლებრივი დევნის ყველაზე დიდი მაჩვენებელია შემდეგ სისხლისსამართლებრივ დანაშაულებზე:

1. ქურდობა, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ანუ სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი

[37] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009 წელი.

ა) წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ

ბ) არაერთგზის

გ) ბინაში უკანონო შეღწევით

დ) სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ

ე) ბინაში უკანონო შეღწევით

ვ) სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

2. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, ანუ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება , ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.[38]
3. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება
4. ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა)), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. მუხლი ითვალისწინებთ მასში გათვალისწინებული საგნების ნებაყოფლობით ჩაბარების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდებას, თუ პირის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.[39]

საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის ანგარიშის თანახმად, საჯარო მოხელეების მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის სურათი ასე გამოიყურება: 2012 წლის

[38] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 წელი.

[39] იქვე

ნოემბრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში საჯარო მოხელეთა მიერ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილ ძალადობრივ და სამოხელეო დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო 500-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან 43-ზე გამოძება დაიწყო 2017 წლის პირველ 6 თვეში.

2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 203 ყოფილი საჯარო მოხელის მიმართ. მათ შორის მაღალი თანამდებობის პირების:

- შინაგან საქმეთა მინისტრის,
- იუსტიციის მინისტრის,
- თავდაცვის მინისტრის,
- გენერალური შტაბის უფროსის,
- სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილის,
- შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის,
- სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის,
- კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის,
- კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის,
- შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის უფროსის,
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მიმართ.

2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდში სასამართლოში განსახილველად წარიმართა სისხლის სამართლის საქმეები 197 ყოფილი საჯარო მოხელის მიმართ, რომელთაგან 122 პირის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი (400-ზე მეტ დანაშაულებრივ ეპიზოდზე), ხოლო 9 პირის მიმართ - გამამართლებელი განაჩენი.

მუხლები, რომლებზეც გამოტანილი იქნა განაჩენი ყოფილი საჯარო მოხელეების მიმართ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებზე



2012 წლის 01 ოქტომბრამდე ჩადენილ სისტემურ დანაშაულებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე, გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს 300-ზე მეტ სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სასამართლოში განიხილება 35-ზე მეტი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე 50-ზე მეტი პირის მიმართ.

რაც შეეხება იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას, ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2016 წელს გახსნილია მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 50 ფაქტი და მხილებულია 34 საჯარო მოხელე, რომელთაგან 23-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებული იქნა დისკრეცია; 2 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო, ხოლო 9 პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა. ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტების გამოძიების შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი 91 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ 77 ავტომანქანა, 13 მიწის ნაკვეთი, ასევე სხვადასხვა დასახელების უძრავი და მოძრავი ქონება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 21 109 167 ლარს.

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილება გახდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის დამატებითი მექანიზმი.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2016 წელს საქართველოს პროკურატურამ 16 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, საიდანაც 6 პირის მიმართ უკვე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

2017 წლის პირველ 6 თვეში გახსნილია მოქალაქეებისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 17 ფაქტი და მხილებულია 3 საჯარო მოხელე, რომელთა მიმართ, გამოძიებასთან თანამშრომლობის გათვალისწინებით, გამოყენებული იქნა დისკრეცია. ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტების გამოძიების შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი 44 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დაუბრუნდათ 6 ავტომანქანა, 2 თვითმფრინავი, 3 შვეულმფრენი, 6 მიწის ნაკვეთი, ასევე სხვადასხვა დასახელების უძრავი და მოძრავი ქონება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 15 284 646 ლარს.

2017 წლის პირველ 6 თვეში საქართველოს პროკურატურამ 11 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, საიდანაც 5 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი. აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომლის ფარგლებში მოპოვებულმა მტკიცებულებებმა გამორიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი იყვნენ მსჯავრდებულნი.

ზემოაღნიშნულ პროცესებზე აშშ-მა და ევროკავშირმა თავიანთი პოზიცია გამოხატეს არაერთ დიპლომატიურ დემარშში, კრიტიკულ განცხადებაში, პრესაში გამოქვეყნებულ ოფიციალურ წერილსა და სტატიაში. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო და არის ყოფილი ხელისუფლების ლიდერთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება. ევროკავშირის ხელმძღვანელი პირებისგან ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო მკაცრი გაფრთხილება, რომ ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ სასამართლო პროცესების გაგრძელება დიდი ხნით დაასამარებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივებს. ევროკავშირის მხრიდან საუბარი იყო, ასევე, შესაძლო სანქციებზე. ევროსაბჭომ კი საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაში.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს დევნადაწყებული 178 პირიდან 80 მათგანი (45%), ხოლო 2017 წლის 6 თვეში დევნადაწყებული 123 პირიდან 37 მათგანი (30%) მაღალი და საშუალო რგოლის საჯარო მოხელეა.

საჯარო მოხელეები, რომელთა მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა



აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლებში, საჯარო მოსამსახურეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკით:

1. პოლიციელი
2. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურე
3. საკრებულოს საჯარო მოსამსახურე
4. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე
5. სხვა საჯარო მოსამსახურე.

როგორ გრაფიკიდანაც ჩანს, ლიდერობენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. მათ მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებიან სად.-ის საჯარო მოხელეები, საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა 3%-ის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა 2016 წელს, ხოლო 2017 წელს-2.7%-ის მიმართ, რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებს, 1%-ის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა 2016 წელს, ხოლო 2017 წელს -13.5 %-ის მიმართ, სხვა საჯარო მოხელეების მიმართ კი -2016 წელს 18%, 2017 წელს-8.1 %.

აღნიშნული მონაცემები არ იძლევა ერთმნიშვნელოვანი დასვნის გაკეთების საშუალებას და არც ტენდენცია შეინიშნება.

2016 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 135, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 2 პირის მიმართ. 2017 წლის პირველ 6 თვეში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 86, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 7 პირის მიმართ.[40]

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი სტატისტიკური მონაცემი საქართველოს მთავარი პროკურორის 2018 წლის ანგარიშში არ გვხვდება, ხოლო 2019 წლის ოფიციალური ცნობები გამოქვეყნებული არ არის. თუმცა, არსებული ინფორმაციაც იძლევა ანალიზის საშუალებას. საქართველოს ხელისუფლებას, როგორც ჩანს, უჭირს აშშ-ისა და ევროკავშირის პოლიტიკური და ექსპერტული წრეებისთვის იმის ახსნა, რას მოიაზრებს სამართლიანობის აღდგენის პროცესი და რითაა იგი გამოწვეული.

საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მათი ქვეყანა არის მსხვილ საერთაშორისო მოთამაშეთა ინტერესების შეჯახების არენა, ხოლო სამართლიანობის აღდგენის პროცესში "Cohabitation" ("თანაარსებობა") ქართველთა უმრავლესობისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

სამართლიანობის აღდგენის პერსპექტივებზე საუბრისას, არ შეიძლება შინაგანი ფაქტორების მხედველობიდან მოხსნა. მათ შორის, ქართულ საზოგადოებაში ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული სოციალური და პიროვნული ურთიერთობებისა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, სამართლიანობის აღდგენის მიზნით პროკურატურაში შეტანილი საჩივრების რაოდენობამ გადააჭარბა 50 000-ს. ამ განცხადებების უკან დგას მკვლელობები, წამება, დაცინვა, ქონებისა და ბიზნესის მასშტაბურად ჩამორთმევა, აგრეთვე, დგანან მათი ოჯახის წევრები, ახლობლები და მოქალაქეები, რომლებიც მათ თანაუგრძნობენ და სიმპატიით არიან განწყობილნი.

ჩემი აზრით, ქართული კულტურის, მენტალიტეტისა და ტრადიციების თავისებურებათა გათვალისწინებით, რეპრესიებისგან დაზარალებულთა უმრავლესობის უდიდესი სურვილია დამნაშავეთა რეალური დასჯა, ვიდრე მატერიალური კომპენსაცია.

International Republican Institute-ის ქართული ოფისის საზოგადოებრივი აზრის უახლესი კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა მხოლოდ 3% იმედოვნებს, რომ ქვეყანაში აღდგება სამართლიანობა.[41]

---

[40] www.pog.gov.ge/page/default/saqarTvelos-mTavari-prokuraturis-2017-wlis-angarishi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-31.01.2020

[41] www.iri.org/country/Georgia, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული-31.01.2020 .

დასკვნა

ნაშრომში განხილული საკითხები და ჩატარებული კვლევა იძლევა შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას:

- სამართლიანობის აღდგენა არის სამართლებრივი პროცესი, რომლის შედეგადაც სრულდება საზოგადოების დაკვეთა, აღდგეს ადამიანთა დარღვეული უფლებები. საზოგადოებაში დამკვიდრებული იმ ფასეულობების აღდგენა, რომლებიც დაარღვია დანაშაულის ჩამდენმა. აღნიშნული ხორციელდება ისეთი სასჯელის დანიშვნით, რომელიც შეესაბამება დანაშაულებრივი ქმედების საშიშროების ხარისხსა და ხასიათს, მისი ჩადენის გარემოებებსა და ბრალდებულის პიროვნებას. ამას შედეგად უნდა მოჰყვეს ზიანის ანაზღაურება და ბრალდებულში ძირითადი მორალური ფასეულობებისადმი საპატივცემულო ურთიერთობის ფორმირება.
- სამართლიანობის აღდგენის უმთავრესი კრიტერიუმია ბრალდებულის პიროვნებაში საკუთარი ქმედებისადმი კრიტიკული ხედვის ჩამოყალიბება მორალური ფასეულობებისადმი, ზიანის ანაზღაურება და სამართლიანი სასჯელის რეალიზების აღიარება.
- სამართლიანობის აღდგენისას სასჯელის დანიშვნის ეტაპზე სავალდებულოა სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპებით ხელმძღვანელობა. უმთავრესია - კანონიერების, ბრალეულობის, ჰუმანიზმის, სამართლიანობის, კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპები. მეორე მხრივ, ფაკულტატური პრინციპებით - დიფერენციაცია, სასჯელის დანიშვნის ინდივიდუალიზაცია, მისი მიზანშეწონილობა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ზომათა ეკონომია.

სამართლიანი სასჯელის კრიტერიუმები იყოფა სამ ჯგუფად:

1. სასჯელის უფლების გამოყენების ლეგიტიმურობა,
2. სასჯელის, როგორც ზომის, დახასიათება,
3. სასჯელი, როგორც პროცესი.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება:

- ✓ დადგენილი სისხლისსამართლებრივი აკრძალვის სამართლიანობა,
- ✓ იმ მონაცემების ჭეშმარიტება და სისრულე, რომელთა საფუძველზეც მიიღება საქმეზე გადაწყვეტილება,
- ✓ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სწორი გამოყენება,
- ✓ სასჯელის აღმასრულებელი პირების მაღალზნეობრივი დონე,
- ✓ ძალაუფლებითი ურთიერთობა დამსჯელსა და დასასჯელს შორის.

მეორე ჯგუფის კრიტერიუმები სასჯელს ახასიათებენ, როგორც ზომას და მიმართული

არიან დამნაშავის პიროვნებაზე, განსაზღვრავენ დანაშაულის ხასიათისა და მისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შესაბამისობას სასჯელთან, შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. III ჯგუფის კრიტერიუმები, რომლებიც სასჯელს ახასიათებენ, როგორც პროცესს: მსჯავრდებულის მიმართ გამოსაყენებელი ზემოქმედების ზომის მასშტაბის არჩევა, გადაწყვეტილების მიღების შესათანხმებელი პროცედურა, სასჯელის ზომის შეცვლის შესაძლებლობა.

ვფიქრობ, რომ თუ სახელმწიფო არ მიიღებს გადამწყვეტ ზომებს სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, როგორც ამას საზოგადოების უმრავლესობა ითხოვს, მმართველი ძალისა და გლობალურად-ქართული სახელმწიფოს პოზიციები სერიოზულად შესუსტდება.

გამოყენებული ლიტერატურა

უცხოური ლიტერატურა

1. Алексеев Н.Н., Основы философии права, СПб., 1999,
2. Аристотель, Этика, политика, риторика, поэтика, категории. И., 1992,
3. Беккариа Ч., О преступлениях и наказаниях. М., 1764,
4. Боронбеков С., Принцип справедливости наказания и соразмерности обеспечения прав потерпевшего, Рязань, 1994,
5. Карамашев С. Б., Восстановление справедливости, как цель уголовного наказания, Омск, 2004,
6. Лукашева Е.А., Право, мораль, личность. М., 1986,
7. Платон, Законы. М., 1999,
8. Становский М.Н., Назначение наказания, СПб., 1999,
9. Флетчер Дж., Наумов А. В., Основные концепции современного уголовного права, М., 1998,
10. Фойницкий И.Я., Учение о наказании в связи с тюрьмоведением. М., 2000,
11. Хамитов Р.Н., Специальные правила назначения наказания. М, 1997,
12. Шаргородский М.Д., Наказание, его цели и эффективность. М., 1973,
13. Юдин Е.В., Наказание и восстановление социальной справедливости в уголовном законе, теории и правоприменительной практике. Иркутск, 2007,
14. Braithwaite J., Crime, shame and reintegration, Cambridge, England, 1989,
15. Fletcher J., Naumov A., Basic concepts of modern criminal law, M., 1998,
16. Marshall T., Merry S. E., Crime and accountability, London, England, 1990,

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999,
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009,
3. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, თბ., 1999,

ვებ. გვერდები

1. www.iri.org;
2. www.pog.gov.ge.